[illegible]

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—70
რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. [illegible]
კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე

ხუთშაბათი, 2 ივნისი, 1921 წ.

№ 74 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 74

## რუსეთ-გერმანიის სავაჭრო შეთანხმება

საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა თანდათან მტკიცდება. მისკენ მორიდებით იხედებიან დღეს როგორც ისინი, რომლებიც მის ირგვლივ შემორტყმულ თვალუწვდენელ ფრონტებზე ტყუილათ ლამობდენ მის განადგურებას, აგრეთვე ის ქვეყნებიც, რომლებიც უშუალო აქტიურ მონაწილეობას არ იღებდენ საბჭოთა წინააღმდეგ მიმართულ კოალიციაში. სანამ ანტანტა აწარმოებდა აქტიურ ბრძოლას მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინააღმდეგ, ის, მსოფლიო ომში გამარჯვებულის უფლებით და ძალით, გავლენას ახდენდა ისეთ ქვეყნების დამოკიდებულებაზედაც რუსეთთან, რომლებიც სხვა და სხვა ობიექტიურ პირობების გამო განზე იდგენ რუსეთთან ომის დროს. მას შემდეგ, რაც იმპერიალისტური კოალიცია მწარე გაკვეთილებით დარწმუნდა, რომ სამხედრო ფრონტზე საბჭოების დამარცხება ფუჭი ოცნებაა, რომ ომი რუსეთთან და მისი მუდმივი ბლოკადა მთლად ერთიანათ ანადგურებს ევროპის საწარმოო ძალებს და საფრთხეში აგდებს მთელ ეკონომიური აღორძინების შესაძლებლობას, რომ, გარდა ამისა, ბრძოლა მუშათა სახელმწიფოსთან აქტიური გამოსვლების გზაზე აყენებს საერთო ეკონომიური კრიზისით შეწუხებულ ევროპის მუშებს, ამის შემდეგ მან შესწყვიტა აქტიური ბრძოლა რუსეთთან და დაადგა ნაწილობრივ მაინც „მშვიდობიანი“ პოლიტიკის წარმოებას. ინგლისმა დასდო პირველათ სავაჭრო ხელშეკრულება რუსეთთან და ამ გარემოებამ აქტიურათ ხელი გაუხსნა იმ ქვეყნებსაც რუსეთთან დამოკიდებულებაში, რომლებიც გამარჯვებული კოალიციის უშუალო გავლენის ქვეშ იყვნენ და ვერ აწარმოებდენ დამოუკიდებელ პოლიტიკას. ერთი ასეთთაგანი იყო გერმანია, მან უკვე მონარქიის დროს იცნო საბჭოთა მთავრობა, მარა ამ გარემოებამ ვერ შეუწყო ხელი ორ ქვეყნის შორის ნორმალური დამოკიდებულობის საბოლოოთ დამყარებას. რესპუბლიკანური გერმანია კი, თუმცა უარს არ ამბობდა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ცნობაზე, მარა იმავე დროს მისი ტერიტორია შეიქნა მუდმივ საოპერაციო ბაზათ ყველა კონტრ-რევოლუციონურ ავანტიურისტისათვის, რუსეთიდან გაქცეული თეთრგვარდიელთათვის, რომლებიც სისტემატიურ ორგანიზაციას ეწეოდენ თავის ძალებისას რუსეთზე თავდასასხმელათ. და ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა უკანასკნელ ხანებამდი, როდესაც ინგლისმა ხელი მოაწერა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულებას. ეჭვს გარეშეა ამ გარემოებამ იმოქმედა გერმანიის დამოკიდებულებაზე რუსეთთან და დასაწყისი მისცა რუსეთ-გერმანიის სავაჭრო შეთანხმებას. უმთავრესი პოლიტიკური მომენტი ამ შეთანხმების მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა მთავრობა აღიარებულია იქ რუსეთის ერთად ერთ ხელისუფლებათ. ამით ბოლო ეღება იმ ორგანიზაციების და წარმომადგენლობათა მუშაობას გერმანიაში, რომელიც ამ შეთანხმების დადებამდე წარმოებდა იქ. ამ შეთანხმებით, ფორმალურათ მაინც, ბოლო მოეღო იმ ორჭოფ დამოკიდებულებას, როდესაც ერთ და იმავე დროს გერმანიის ტერიტორიაზე ადგილს პოულობდენ, როგორც მთავრობის მიერ მიჩნეული წარმომადგენლები საბჭოთა სახელმწიფოსი, ისე მისი მოსისხლე მტრების ორგანიზაციები, რომლებიც ეწეოდენ სათანადო მუშაობას სწორეთ იმ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. საბჭოთა წარმომადგენლობათა ენერგიულ მუშაობაზე იქნება მომავალში დამოკიდებული, რამდენათ ეს ფორმალურათ ურიგონო შეთანხმება რუსეთის სხვადასხვა ჯურის კონტრ-რევოლუციონურ წარმომადგენლობათა ლიკვიდაციის შესახებ ხორცს შეისხამს და გატარდება ცხოვრებაში.

ამავე შეთანხმების ძალით საბჭოთა წარმომადგენლობა გერმანიაში მიჩნეულია როგორც იურიდიული პირი ყველა აქედან გამომდინარე უფლებებით. მას შეეძლება მიღებული მონოპოლიის საფუძვლებზე აწარმოოს თავის დამვალებელი მთავრობის სახელით სავაჭრო ოპერაციები.

ამ შეთანხმებას აქვს დიდი პრინციპიალური და პრაქტიკული მნიშვნელობა საბჭოთა რუსეთისათვის. ეს ახალი დიდი გამარჯვებაა საბჭოთა დიპლომატიისა. ის კიდევ უფრო ანმტკიცებს რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობას, იმავე დროს ლახვარს სცემს თეთრგვარდიელთა ორგანიზაციებს, რომლებიც სისტემატიურ პროვოკაციას ეწევიან საზღვარგარეთ რუსეთ ევროპის ურთიერთობათა გასართულებლათ.

რუსეთ გერმანიის სავაჭრო შეთანხმება ეჭვს გარეშეა ამუშავებს ევროპის სხვა ქვეყნების დიპლომატიასაც და გაადვილებს მათ თავისი წილი სარგებლობისა ამოიღონ რუსეთის მიერ მსოფლიო მეურნეობის სისტემაში სათანადო ადგილის დაკავებით შექმნილი მდგომარეობიდან. ეს ესაჭიროება რუსეთის დანგრეული მეურნეობის აღდგენის და საბჭოთა რეჟიმის განმტკიცების საქმესაც. სწორეთ ეს არის მიზეზი იმ გააფთრებული კამპანიის, რომელსაც ეწევიან საზღვარგარეთ გადახვეწილი ემიგრანტები. მათი ცდა ამ მხრივ დღემდი დამარცხებით დათავდა. ეჭვი არ არის, ისინი საბოლოოთ დარწმუნდებიან ახლო მომავალში, რომ მათ ახალ აგიტაციას ეწვია იგივე ბედი დაღუპვის, როგორიც განიცადა მათმა სამხედრო ფრონტებმა რუსეთში.

ჯ.

## მიწის ფონდი საქართველოში.

ამ საკითხზედ ბევრია დაწერილი, მაგრამ გამორკვეული კი არ არის. მიწის მფლობელობის მოგვარება და მოწყობა უდიდესი საქმეა რესპუბლიკაში და მასთან ერთად უძნელესი. მიწის ფონდის რაოდენობის გამორკვევას აქვს არა განყენებული მნიშვნელობა, არამედ ეს პირდაპირ სადღეისო საჭირბოროტო საქმეა. სხვა და სხვა გვარი დეკრეტების განხორციელება მიწის მფლობელობის სფეროში შესაძლებელია და მიზანს მიაღწევს, თუ იქნება გამორკვეული მიწის ფონდი. ჩვენი ცნობები მიწის ფონდის შესახებ ძლიერ სუსტია და დაშორებული სინამდვილესაგან.

ჩვენი ცნობები მიწის ფონდის შესახებ დამყარებული არის იმ ცნობებზედ, რომლებიც ყოფილმა რუსეთის მთავრობამ გვიანდერძა. ეს ცნობები იყო დაგროვებული ბატონყმობის გაუქმების დროს მე 60 წლ. და შესწორებული მიმდინარე საუკუნეს დასაწყისში, როდესაც შეუდგენ ამიერ-კავკასიაში ბატონ-ყმობის ნაშთების გაუქმებას. მიწის ფონდის რაოდენობის გამოანგარიშება არის აგრეთვე დამყარებული საქართველოს გადამიჯვნის საქმის წარმოებაზედ. გადამიჯვნა საქართველოში მიწების რუსეთის მთავრობამ ვერ დაამთავრა, მიუხედავათ იმისა, რომ მას ორმოცდა ათ წელზედ მეტს აწარმოებდა. მიწის ფონდის რაოდენობის გამოანგარიშებაში ვსარგებლობთ მასალებით ხარჯთ ამკრეფი ინსპექციის.

ყველა ეს მასალები არ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნილებას და იმ მეთოდებს, რომლებიც მეცნიერებამ შემოიღო და ევროპის სახელმწიფოებში სარგებლობს. უფრო კარგი მასალაა სასოფლო სამეურნეო აღწერილობაში 1917 წ. ამ მასალებზე დაყრდნობა უფრო შესაძლებელია, მაგრამ ისიც ბევრ შეცდომებს შეიცავს. და განსაკუთრებით ამ საკითხს არ შეეხებიან. მასალები, რომლებიც ჩვენა გვაქვს საქართველოში მიწის მფლობელობის შესახებ, დაგროვებული და დამუშავებული იყო სხვა და სხვა მოთხოვნილებისათვის. პირდაპირი, დამოუკიდებელი მიწების აღრიცხვა საქართველოში არ ყოფილა. **საქართველოში არავის არ მოუხდენია მიწების კადასტრი.** მიწების კადასტრი არის ძლიერ რთული საქმე, მაგრამ აუცილებელი. მიწების კადასტრი შეიცავს მიწების რაოდენობის აღწერილობას უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ მარტო აღწერილობა არ არის მიზანი კადასტრისა. კადასტრის მთავარი საქმე მიწების აღწერილობასთან მიწების ხარისხების გამოკვლევა და აღნუსხვა: ესე იგი კადასტრი იკვლევს ვარგისი და უვარგისი მიწების რაოდენობას, რა და რა გვარი სოფლის მეურნეობისათვის არის გამოსადეგი მიწები, მიწების განაწილება; დამახასიათებელი თვისებანი მიწის მფლობელობისა, მიწის მფლობელთა რაოდენობა და მათ შორის ურთიერთობის გამოკვლევა. მაშასადამე კადასტრი შეიცავს ყოველგვარ ცნობებს **მიწის მფლობელობის და მიწის სარგებლობის შესახებ.**

აშკარაა, მიწის კადასტრი მოითხოვს დიდ თანხებს, დიდ ცოდნას და გამოცდილებას და თავის თავად ისეთი დიდი საქმეა, რომ მოითხოვს დიდ დროს. უკადასტროდ კი ყოველგვარი რეფორმა მიწის მფლობელობის და მიწის სარგებლობის შესახებ მხოლოდ დაახლოვებით აღწევს მიზანს. კადასტრი კი იძლევა საშუალებას პირდაპირ მივიდეთ იმ საჭირო რეფორმებამდი, რომელიც ცხოვრების და საზოგადოების განვითარებამ წამოაყენა.

სამწუხაროდ, დღემდე არ არის გამოკვლეული და გადამუშავებული საქართველოში სასოფლო სამეურნეო რაიონები. ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის მიმართულებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს ზოგიერთი ნაწილები (ბათომის ოლქი, ქუთაისის მაზრა, შავი ზღვის პირი) ისეთ ბუნებრივ პირობებს შეიცავენ, რომ შესაძლებელი არის მთელი მეურნეობის წესის გარდაქმნა. შესაძლებელია და ეკონომიურად უფრო მისაღები ასეთ და სხვა ადგილებში მეურნეობამ თავი გაანებოს ხორბლეულობის წარმოებას და ხელი მოჰკიდოს მებაღეობას, ტექნიკური და წამლეულობის მცენარეების გაშენებას. ასეთ გარდაქმნას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის, სადაც მიწის სივიწროვეა.

მიწის კადასტრი დიდი საქმეა, მხოლოდ თუ ჩვენ გვინდა სოფლის მეურნეობის აყვავება, მისი წარმატება ეს აუცილებელია. ჩვენ არ ვივიწყებთ იმას, რომ კადასტრის მოწყობა არ არის ადვილი და არც სწრაფად შეიძლება მისი მოწყობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საქმის დაყენება ძლიერ საზარალოა და მის განხორციელებას უნდა შევუდგეთ.

რას წარმოადგენს საქართველოს მიწის ფონდი დაახლოვებით? მთელ საქართველოში მიწის ფონდი უდრის 5,537,207 დესიატინას. 64,4 პროც. ფონდისაა ანუ 3 517,195 დესიატინა სრულიად გამოსადეგია სოფლის მეურნეობისათვის. დამუშავებული მიწები, რომლებზედაც უკვე გამართულია სოფლის მეურნეობა, შეადგენენ 1,335,756 დესიატინას. მიწის ფონდიდან დამუშავებული არის 24,1 პროც. მთელი ვარგისი მიწებისაგან დამუშავებული მიწები შეადგენენ 36,7 პროც. მაშასადამე შესაძლებელი არის გადიდება დასამუშავებელი მიწების რაოდენობისა და მით შევსება ყოველ წლიური დეფიციტის ხორბლეულობის. სოფლის მეურნეობისათვის უვარგისი მიწები—ყარაიაზის ველი 124,149 დეს., ფოთის ჭაობები 40,000 დეს. და სხვ.—უვარგისნი არიან დღეს. მათი გამოყენება სრულიად შესაძლებელი არის, მხოლოდ აუცილებელია—მელიორაცია. უწყლო მიწებზედ წყლის გაყვანა, ჭაობების ამოშრობა. მართალია დღევანდელ პირობებში სამელიორაციო მუშაობა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, მაგრამ აუცილებლათ უნდა იქნეს ეს საკითხები დღის წესრიგში დაყენებული.

საქართველოს მიწის ფონდი დაახლოვებით ამნაირად არის განაწილებული: დამუშავებული მიწები 1,335 756 დეს. ანუ 24,1% მთელი ფონდის, დამუშავებული მიწების რაოდენობის გადიდება შესაძლებელი არის: ამისათვის საჭიროა მელიორაცია.

საძოვარი და საბალახე ადგილები 1,714,613 დეს. ანუ 30,9 პროც. ფონდისა. საძოვარი და საბალახე ადგილების ეკონომიური მნიშვნელობა ძლიერ დიდია. უმთავრესად ეს მიწები მოქცეული არის აღმოსავლეთ საქართველოში და მოხმარებულია მეცხვარეობისათვის. ტყიანი ადგილები უდრიან 2.486.838 დეს. ანუ 44,9 პროც. უდიდესი წილი მიწის ფონდისაგან ეკუთვნის ტყიან ადგილებს. ტყე უდიდესი განძია საქართველოში. დღემდე არა ყოფილა რაციონალური მეურნეობა. ტყეები უილაჯოთ იჩეხება. არ იყო და არ არის გარკვეული წესი მეტყეობისა. ხე-ტყის მასალის მოთხოვნილება ძლიერ დიდია ევროპის ბაზარზედ. ჩვენი ტყეები შეიცავენ უძვირფასეს მასალას: მუხა, ბზა, წითელი ხე, ჭადარი და სხვა, რომლის მოთხოვნილება დიდია და ფასებიც კარგია. საჭიროა მხოლოდ ხეირიანი მეურნეობა. ზემო მოყვანილი ცნობები დაახლოვებით ახასიათებენ მიწის ფონდის მდგომარეობას და რაოდენობას. კადასტრის საშუალებით შეიძლება სრული გამორკვევა და სათანადო სამეურნეო გზის გამოძებნა მეურნეობის წარმატებისათვის.

ომიანობამ და მისმა საშინელმა ეკონომიურმა შედეგებმა ყველას თვის ნათელყო შემდეგი: ერის მეურნეობა, მისი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება უნდა ხდებოდეს წინა წარ დამუშავებული გეგმის მიხედვით, მეურნეობაში ანარქიული მოქმედება შეუძლებელი არის. სახელმწიფო დარაჯი დამცველი უნდა იქნეს მეურნეობის და მან უნდა აიღოს ეს საქმე ხელში. არსად არ ყოფილა ისეთი უილაჯო, დაბნეული წესი მეურნეობის, როგორც საქართველოში. ყველა იმეორებს და გაიძახის, რომ საქართველო მდიდარია. საქართველო მდიდარია, უხვად არის დაჯილდოვებული, მაგრამ უებრათ სიმდიდრეში საქართველო ლატაკზედ-ლატაკია, ეკონომიურად განადგურებული. უკიდურესი ღონის ძიებანი არის საჭირო, რათა საქართველოს სიმდიდრე იქმნეს გამოყენებული. საჭიროა მეურნეობის გეგმა და მისი მედგრად განხორციელება.

ხ. ავალიანი.

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

**ამხ. ზინოვიევის მოხსენება კომუნისტური ინტერნაციონალის შესახებ.**

**ზინოვიევი** (დასასრული) სკანდინავის ქვეყნებში, ნორვეგიაში, ჩვენ გვყავს ძალიან მძლავრი პარტია. იქ თავისებურ მოძრაობას ჰქონდა ადგილი. პარტია უწინ ღებულობდა მთელ პროფესიონალურ კავშირებს-კოლექტიურათ ჩაწერის საფუძვლით პარტიაში, და ჩვენ უნდა მიგვეღწია იმისათვის, რომ ხელახალი რეგისტრაცია უნდა ყოფილიყო სრული და ჩამოგვეშორებინა არასამედო ელემენტები. შვეციაში გავაჩნია პარტია, რომელიც გამოვიდა მემარცხენე სოციალისტების ძველი ჯგუფიდან. ეხლა ეს პარტია გაწმენდილი იქნება რეფორმისტული ელემენტებისაგან. განსაკუთრებით დიდი წარმატება ერგოთ ჩვენს ამხანაგებს ფინლანდიაში. სწორედ იმ ქვეყანაში, რომელშიაც სულ ახლა ხან თეთრი ტერორი მძვინვარებდა, ძველებური სოციალ-დემოკრატია განადგურებულია სავსებით, და მუშები ათასობით გადმოდიან კომუნისტების მხარეზე. თეთრი სოციალ-დემოკრატია და მარცხდა აგრეთვე პროფესიონალურ მოძრაობაშიც გელსინგფორსში და ქვეყნის სხვა ნაწილებში უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა. ამ ქვეყანაში, სადაც ბურჟუაზია მუშებს ველურად უსწორდებოდა, ეხლა იგი იძულებულია ითმინოს კომუნისტური პრესა და ისიც, რომ მუშები თავის თავს აშკარად აღიარებენ კომუნისტებად. არსად მუშებს არ განუცდიათ ამდენი სისასტიკე, როგორც ფინლიანდიაში, და არსად ისე ჩქარა არ გამართულან წელში ამგვარ შევიწროებისაგან. როგორც ეხლახან ფინლიანდიიდან დაბრუნებულ ამხანაგმა კუსინემ მიამბო, ეხლა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ აგიტაციის გაწევა დროს დაკარგვაა. საკითხი დგას რეალურად: თუ როგორ დავირაზმოთ ორგანიზაციულად და არა ისე, მუშას არ ესმოდეს, რომ მან უნდა გაილაშქროს თეთრი სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. ეს განვლილი საფეხურია. თვით დამარცხებული პროლეტარული რევოლუციაც არის უდიდესი ფაქტორი მუშათა კლასის განთავისუფლებისა. კიდევ ორიოდე სიტყვას ვიტყვი ანგლო საქსონურ ქვეყნებზე. ჩვენ იქ სუსტნი ვართ. ინგლისში ჩვენ გვაქვს კომუნისტურ ჯგუფების გაერთიანება, რომელიც დიდის სიძნელით თაა მიხწეული. მე-3 ინტერნაციონალის მე 2 კონგრესის დროს ჩვენ საქმე გვქონდა 8 ან 9 კომუნისტურ ცალკე ჯგუფების წარმომადგენელთა თათბირთან. ეხლა მოხერხდა მათი გაერთიანება. მათი რიცხვი 10 ათასს აღემატება, ჯერ დიდ ძალას არ წარმოადგენენ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ინგლისში სხვა პარტიებიც რიცხვობრივ შემადგენლობით აგრეთვე ძალიან მცირენი არ არიან. ინგლისში ადგილი აქვს თავისებურ კომპლექსს ნახევრად-პროფესიონალურ, ნახევრად-პარლამენტარულ გაერთიანებისას, რომელიც დღევანდლამდე აბიაბრუებს მუშათა კლასს, და იქ საჭირო იქნება დიდი პროცესი პროფესიონალურ მოძრაობის შიგნით, პროცესი, რომელიც უკვე დაიწყო და წინ მიდის, რომ შექმნას მასიური კომუნისტური პარტია. ამერიკაშიაც ასეთივე მდგომარეობაა, მხოლოდ იქ კომუნისტურ პარტიას უხდება არა ლეგალური მუშაობა, ბრძოლით საქმის და პროპაგანდის არა-ლეგალური წარმოება. იქ იყო რამოდენიმე მიმდინარეობა, რომელიც უხლოვდებოდა გაერთიანებას. კომუნიზმი უფრო პოპულარულია ამერიკაში, ვინემ ინგლისში. იქ ათასობით ატუსაღებენ ჩვენ მიმხრეებს, ბურჟუაზია მათ სასტიკად სდევნის, ამ მიზნით იგი არ ჩერდება საკუთარი კანონების დარღვევის და გაუქმების წინაც.

საერთოდ და მთლიანად ჩვენ განვიცდით ეხლა გარდამავალ ხანას კომუნისტურ ინტერნაციონალის განვითარებაში. ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს ჩვენმა ყრილობამ. საერთოდ აღებული, კრიზისი იტალიასა და გერმანიაში, გამოურკვევლობა ჩეხო-სლოვაკიაში—გვიჩვენებს, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი იმყოფება ერთგვარ რყევის, ზედაპირების ქანაობის პერიოდში. ეს არის გარდამავალი წერტილი. და აი აქ, ჩვენი პარტიისათვის, რომელიც არის კომუნისტური ინტერნაციონალის დამაარსებელი, ჩვენი პარტიისა და მისი მე X ყრილობისათვის, მნიშვნელოვანია გადავწყვიტოთ, რომ ჩვენმა წარმომადგენლებმა მაგრათ დაიჭირონ საჭე ამ გარდამავალ ხანაში და არ დაუთმონ იმ ელემენტებს, რომელთაც უნდათ კომუნისტური ინტერნაციონალის პოლიტიკის მარჯვნივ გადახრა. იყო დრო, როდესაც კომუნისტური ინტერნაციონალისადმი ყველასაგან რელიგიურ განწყობილებას ჰქონდა ადგილი. იყო დრო, როდესაც ეს დამოკიდებულება არ იყო საკმაოდ კრიტიკული. ეს პერიოდი განვლო. იყო დრო, როდესაც ცენტრის შერყეული მიმხრეები ფიქრობდნენ, რომ ადვილია კომუნისტებად მონათვლა, კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლა, საქმით კი ძველი პოლიტიკის გაგრძელება. ეხლა ისინი დარწმუნდნენ, რომ ეს არც ისე ადვილია. ეხლა დაიწყო გაერთიანება ორნახევარი ინტერნაციონალისა. თქვენ იცით, რომ ვენაში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრო 40—50 კაცი და იქ ერთდებიან გადარჩენილ ჯგუფების და პარტიების ყველა ნამსხვრევები. იქ ჩვენ ვხედავთ სრულ აღრევს სხვადასხვა ჯგუფების. ოპორტუნისტულ პარტიების ცალკე ორგანიზაციების ნაშთებისას, რომელნიც ჯერ კიდევ მოიპოვებიან აქა იქ ევროპაში. საკმარისი იქნება ვთქვათ, რომ ყველაზე დიდი, იდეური ხელმძღვანელი 2½ ინტერნაციონალის ყრილობაზე, ვენაში არის მარტოვი. და უნდა გამოვტყდეთ, თუ მხედველობაში მივიღებთ მისი კოლეგების იდეურ არარაობას, მაშინ მარტოვი მართლაც მიუწვდომელ ვარსკვლავად მოჩანს. იქ თავი მოუყრიათ მე 2 ე ინტერნაციონალში მყოფ პარტიებს,—იმ პარტიებსაც, რომელნიც ცალი ფეხით გამოვიდნენ მე-2-ე ინტერნაციონალიდან, აგრეთვე მოგროვილან ისტორიის მსვლელობით საერთოდ გაწირული ჯგუფები. რამოდენიმე ხნის წინედ მე წავიკითხე წერილი შვეიცარიელ სოციალ-დემოკრატ გრიმის გაზეთში, რომელიც (გრიმი) თავის თავს მემარცხენედ სთვლის და რომელიც აგრეთვე გაემგზავრა ვენაში. როდესაც იგი წასასვლელად ემზადებოდა, მან დასწერა ასეთი სტატია: „მივდივართ ვენაში; ეს ცუდი არ არის. მაგრამ მაინც როგორი უცნაური მდგომარეობა იქ ნება! ვინ წავა ვენაში საფრანგეთიდან? — საფრანგეთიდან წავა ჩემი მეგობარი ლონგე. მაგრამ მას ყავს კიდევ ერთი მეგობარი რენოდელი, რომელიც აგრეთვე დარჩა ძველი „სოციალისტურ“ პარტიის რიგებში. რისთვის მივდივართ ჩვენ?—მივდივართ იმისთვის, რომ შევთანხმდეთ და გავმართოთ კომუნისტურ ინტერნაციონალთან მოლაპარაკება 21 პირობების შემსუბუქების შესახებ. ისე გამოდის,—ამბობს გაზეთი,—რომ მიემგზავრება ლონგე, ხოლო მასთან ახლოვს მეგობარი რენოდელი. როგორ შეუძლია რენოდელს მოლაპარაკება აწარმოოს 21 პირობების შესახებ?—რენოდელი ხომ ბურჟუაზიის მომხრეა“. მიუხედავ ასეთი აზრებისა, გრიმი მაინც წავიდა ვენაში. ვენის „2½ ინტერნაციონალს“, იგულისხმება, წინამავალი არა აქვს. არა აქვთ რწმენა, არ იციან, რა სურთ, უპროგრამოთ აწყობენ ისინი თავის 2½ ინტერნაციონალს და ჰგონიათ, რომ თუ

## დღეს ნომერში:

26 მაისს გაიხსნა აფხაზეთის მშრომელთა ყრილობა.

რუსეთსა და გერმანიას შორის დაიდო სავაჭრო შეთანხმება.

სტამბოლში მუშათა მოძრაობა ძლიერდება, მოითხოვენ 8 საათის სამუშაო დღეს; მოსალოდნელია საერთო გაფიცვა.

ინგლისელები ეხმარებიან ბერძნებს ოსმალებთან ბრძოლაში საომარ მასალით.

სტამბოლში მოხდა ებრაელების დარბევა.

გაერთიანდებიან, მაშინ უფრო ლმობიერნი გავხდებით. ამ განზრახვის დამარცხება აუცილებელია. მაგრამ ყველაფერი ეს ერთად აღებული ქმნის კომუნისტურ ინტერნაციონალის ცხოვრებაში ერთგვარ გარდამტეხ მომენტისათვის ატმოსფერას, და ჩვენი პარტიის მიზანი კომუნისტურ ინტერნაციონალში ის იქნება, რომ ამ გარდამავალ ხანაში არ დაუშვათ კომუნისტურ ინტერნაციონალის მარჯვნივ გადახრა.

კიდევ ორიოდე სიტყვა საერთაშორისო პროფკავშირებისა და ბრძოლაზე პროფკავშირთა ბანაკში. მე უკვე მოგახსენეთ, რომ საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობაში ბრძოლა სდუღს დიდის ენერგიით. ეს არის გადამწყვეტი ბრძოლა, ვინაიდან კავშირებში მუშათა მასსები მილიონობითაა ჩაწერილი. გერმანიაში მთელი წყება კავშირებისა ჩამოვაცილეთ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც გაერთიანებული იყო ჩვენს წინააღმდეგ მემარჯვენე დამოუკიდებლებთან. საფრანგეთშიაც მოვიპოვეთ გამარჯვებათა მთელი რიგი. ასეთივე მოვლენა დაიწყო იტალიაში. და ეს მოედება მთელ ქვეყანას. ეს არის გადამწყვეტი საკითხი კომუნისტური ინტერნაციონალის მომავალ პოლიტიკისათვის.

ამასთან დაკავშირებით პირველ ივნისისთვის ჩვენ ვამზადებთ პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო კონფერენციას, მისი დღის წესრიგი შემდეგი იქნება: (კითხულობს). შემდეგ ამხანაგებო, ცენტრალურ კომიტეტსა და კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში გადაწყვეტილია კომუნისტური ინტერნაციონალის მე-3 ყრილობის მოწვევის დაჩქარება. და ჩვენ ვთხოვთ ამხანაგებს ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირონ. ეს აუცილებელია მთელი წყება მიზეზების გამო: პირველი, იტალიურ საკითხის გამო, რომელსაც აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა. იტალიელები მიმართავენ ეხლა მესამე ყრილობას და წინასწარ აცხადებენ, რომ დაემორჩილებიან მის გადაწყვეტილებას. რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოვიწვიოთ მესამე ყრილობა, რომელიც, მე ეჭვი არ მეპარება, ისევე შეურიგებელი იქნება კომუნისტური მოქმედების ხაზის სასარგებლოდ, როგორც იყო მეორე კონგრესი; მესამე ყრილობის დაჩქარებითი მოწვევით უფრო ადრე მივაღწევთ ჩვენი რიგების შეკავშირებას იტალიაში, ქვეყანაში, რომელიც ყველაზე მეტად გვიახლოვდება ჩვენ თავისი რევოლიუციონური სულით. კომუნისტური ინტერნაციონალის ყრილობისათვის ჩვენ მიერ განზრახული დღის წესრიგი შემდეგია: (კითხულობს).

ამხანაგებო, ჩვენ ვფიქრობთ, თუ არაფერი შეგვიშლის ხელს, კონგრესზე ჩვენ დავამთავრებთ კომუნისტური ინტერნაციონალის საორგანიზაციო მუშაობას.

ამხანაგებო, დღევანდლამდი კომუნისტურმა ინტერნაციონალმა სამი საფეხური განვლო. პირველი ხანა იყო მომზადებითი, 1-ლ ყრილობამდე, როდესაც ჩვენ ვაზნევდით კომუნისტურ ინტერნაციონალის თვისს საერთაშორისო ნიადაგზე. მეორე ხანა იყო საგიტაციო პერიოდი, როდესაც კომუნისტური ინტერნაციონალი პროპაგანდისტთა საზოგადოებას წარმოადგენდა; როდესაც მან აამართა თავისი დროშა, რომელსაც გაუგებენ ყველა ქვეყნების მუშები. მესამე პერიოდი—საორგანიზაციოა. ამ ხანაში ჩვენ გადავდივართ თითქოს ყოველდღიურ სამუშაოზე. პარტიები ეხლა ხედავენ, რომ ისინი უნდა იყვნენ არა მარტო საერთოდ სოლიდარული კომუნისტურ ინტერნაციონალთან, არა მარტო იძახონ „ვაშა“ და მხარი დაუჭირონ მის ლოზუნგებს, არამედ, რაკი შედიან ინტერნაციონალში, უნდა დაემორჩილონ აღმასრულებელ კომიტეტს დადგენილებას, რომ ისეთი „ავტონომია“ არ იქნება დაშვებული, როდესაც შეეძლებათ ბურჟუაზიას დახმარება აღმოუჩინონ. ჩვენ გვინდა ვყავდეს მთლიანი საერთაშორისო პარტია; და სწორედ ამის გამო სწარმოებს დღეს ბრძოლა.

მოწინააღმდეგენი გაიძახიან, რომ „მოსკოვს“ სურს ყველაფერი თავის ხელში აიღოს, რომ პარტიეს ისათვის ვითომ საჭიროა დამოუკიდებლობაო. ჩვენ ვამბობთ, რომ ვცნობთ პარტიების დამოუკიდებლობას მთელ რიგ საკითხებში, მაგრამ ჩვენ ასეთ ძირითად მიზანს ვისახავთ: ერთი მსოფლიო პარტია, რომელსაც ექვს თავისი განყოფილებანი (სექციები) სხვა და სხვა ქვეყნებში. აი ამ საორგანიზაციო ხანას განვიცდით ეხლა ჩვენ უდიდესი მაშტაბით. ამხანაგებო, ევროპაში ეხლა არ არის არც ერთი ქალაქი, სადაც არ იყოს ჩვენი იაჩეიკა, ჩვენი ჯგუფი. მე თავდაპირველად განძრახვა მქონდა თქვენთვის წამეკითხა სია იმ პარტიების, სხვა და სხვა ორგანიზაციების, პროფ. კავშირების, ცალკე ჯგუფების, რომელნიც ჩვენ შემოგვიერთდნენ. მაგრამ მე იძულებული ვიყავი ასეთ განზრახვაზე ხელი ამეღო, ვინაიდან მარტო ასეთი სია დაიჭერდა პეტიტით კომუნისტური ინტერნაციონალის ჩვენი ჟურნალის 16 გვერდზე მეტს.

ქვეყნიერების ყველა ნაწილში გვყავს ეხლა ჩვენ მომხრეები. ჩვენი მიზანია არა მარტო ის, რომ მათ ვაღიარებინოთ კომუნიზმის იდეები, იგი გაცილებით უფრო რთულია, უფრო ძნელია, ესაა—მიზანი საორგანიზაციო ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. საქმე ეხება იმ არალეგალურ გამოცდილებას მოკლებულ პარტიების ორგანიზაციას, რანაირი გამოცდილებაც მიღებული აქვს არა ერთ ათეულ ჩვენს ამხანაგებს, რომელთაც არ მოეპოვებათ გადასახლების გამოცდილება არალეგალურ მუშაობის დიდი ხნის განმავლობაში. იქ, ამხანაგებო, საჭიროა შეისწავლონ მუშაობის პირდაპირ ელემენტალური საფუძვლები. შევძლებთ თუ არა ჩვენ დავიპყრათ არა მარტო იდეურად, არამედ ორგანიზაციულადაც, შევაკავშიროთ ყველა მძლავრი ძალები, რომელნიც საჭირონი არიან შემდეგი მუშაობისათვის? და როდესაც, ამხანაგებო, დამთავრდება ეს მესამე ხანა, მაშინ დაიწყება მეოთხე პერიოდი, პირდაპირ საომარი ხანა. რასაკვირველია, ეს პერიოდები არ არიან ერთმანეთისაგან განცალკევებულნი, გადაჭრილნი თითქო დანით,—ეს არის მოდიფიცირებული პროცესი. ეხლა როდესაც ზოგიერთ ქვეყნებში სრულდება მესამე ხანა, დანარჩენები უკვე მეოთხეში შედიან, არიან აგრეთვე მეორე ხანაში მყოფი ქვეყნები. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი ეხლა საერთოდ ამთავრებს მესამე ხანას, რომელიც დაკავშირებულია აუარებელ ყოველდღიურ კითხვებთან, დიდ საორგანიზაციო პრობლემებთან საერთაშორისო მასშტაბით: მათი გადაჭრა არც ისე ადვილია. ჩვენ აქ ეხლა ვკამათობდით საორგანიზაციო საკითხების შესახებ ჩვენს პარტიაში, რომელშიც ჩვენთაგანი უმრავლესობა მუშაობს ათეულ წლების განმავლობაში, მუშაობს ერთ და იმავე ქვეყანაში, ერთგვარ პირობებში. ხოლო საორგანიზაციო პრობლემები კომუნისტურ ინტერნაციონალში გაცილებით უფრო რთულია. მათი გადაწყვეტა გვიხდება გაცილებით უფრო აჭრელებულ, რთულ და საძნელო გარემოებაში, საერთაშორისო ფარგლებში. საქმეთა საერთო მსვლელობა თავის თავად გვკარნახებს კონგრესის დაჩქარებას, ეს მით უფრო საჭიროა, ამხანაგებო, რომ ჩვენ განსაკუთრებულ რეზოლიუციაში მხარი დავუჭიროთ იტალიელ კომუნისტებს და გერმანელ კომუნისტების მემარცხენე ფრთას. ჩვენი ყრილობის ხმას დიდი წონა და გავლენა ექნება მრავალ ქვეყნებისათვის. და ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ იტალიაშიაც გავატაროთ ისეთივე შეურიგებელი კომუნისტური ხაზი, როგორც მაშინ, როდესაც ციმმერვალდის მემარცხენეთა მცირე ჯგუფი შევადგინეთ. ჩვენ ვამბობთ: ნუ გამოვეკიდებით რიცხვს, ნუ დაიბნევით იმის გამო, რომ იტალიაში დროებით უმცირესობას წარმოადგენთ, არამედ მივაწვდინოთ შედუღებულ, მთლიან კომუნისტურ ინტერნაციონალს, რომ ზოგიერთ პარტიებს მოუხდეთ დადგომა და ლოდინი კომუნისტურ ინტერნაციონალის კარებთან კიდევ ერთი ან ორი წელიწადი. მიტომ, რომ თუ კარები ფართოდ გავაღეთ, მაშინ შესაძლებელია ჩვენს საკუთარ სახლში მტერიც შემოგვეპარება.

ამხანაგებო, თქვენ უნდა წაგეკითხათ მესამე ინტერნაციონალისადმი შემოერთებულთა სია, უნდა ნახოთ მუშების ენტუზიაზმი, რომლის მოწმეც მე გავხდი გერმანიაში ჩემი ყოფნის რამოდენიმე დღის განმავლობაში, როდესაც კომუნისტური ინტერნაციონალის მარტო ხსენებაზე ხდება ისეთივე მოქმედება, როგორიც წამლის საწყობისათვის წუმწუმის მოკიდების დროს,—აფეთქება, ენტუზიაზმის ტალღა, აღფრთოვანება გერმანიის ყველაზე მეტად შეგნებულ მუშათა შორის! დაახლოვებით ასევეა საფრანგეთში. ამასვე ვხედავთ გამოფხიზლების გზაზე მდგარ აღმოსავლეთში. თუ თქვენ შეძლებდით, ამხანაგებო, რუკაზე აღგენიშნათ ეს ცალკე ჯგუფები, შთანასახები, ეს მასიური მოძრაობა ქალებსა და ახალგაზრდობას შორის, თუ თქვენ მოახერხებდით დაგესვათ წითელი წერტილები ქვეყნიერების რუკაზე ყველგან, სადაც არიან ჩვენი მეგობრები, მაშინ ყველანი დაინახავთ, რომ თუმცა ჩვენ,—საბჭოთა რუსეთი—ეხლა ვცხოვრობთ „კაპიტალისტურ გარემოცულობაში“, მაგრამამავე დროს სწარმოებს ასეთივე გარემოცვის მეორე პარალელური პროცესიც—ჩვენ მსოფლიო ბურჟუაზიას ძალიან ღრმად ზურგში პროფესიონალურ ორგანიზაციების საშუალებით და იქ ჩვენ ვანხორციელებთ ნამდვილ გარემოცვას, რომლის წინაშე კანკალებს ბურჟუაზია.

და თუ ჩვენ სიმტკიცეს შევინარჩუნებთ, თუ ტაქტიკას არ უღალატებთ იმის გამო, რომ მსოფლიო რევოლიუცია დაიგვიანა, თუ გავაგრძელებთ კაპიტალისტების ამ გარემოცვას, მაშინ დავინახავთ, თუ როგორ იმარჯვებს კომუნისტური ინტერნაციონალი მთელ რიგ ქვეყნებში. ამხ. ლენინი სავსებით მართალი იყო, როდესაც თქვა, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი გარდაიქცა საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. თუ ამას მარქსი ამბობდა პირველ ინტერნაციონალის შესახებ, ჩვენ მილიონჯერ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ეს ვსთქვათ მე 3 კომუნისტური ინტერნაციონალის შესახებ. იგი მთელს მსოფლიოში უდიდეს ძალად გარდაიქცა.

# საბჭ. საქართველოში

გრუზავროსტას დეპეშები

### ბათომი

26 მაისის დღესასწაულმა ბათომში ჩაიარა დიდი ზეიმით, კომუნისტურ ლოზუნგებ ქვეშ. ღრუბლიანი დილა შესცვალა კარგმა დღემ. მთელი ქალაქი მოირთო წითელი დროშებით, ბევრს აწერია: „სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა საქართველო“ დილის 10 საათისათვის აზიზიეს მოედანი გაიჭედა მანიფესტანტებით და ხალხის მასსებით როდესაც მოუახლოვდა მორთული ჯავშნიანი მატარებელი „კარლ მარქსი“, დაიწყო აღლუმი, რომელსაც უფროსობდა პოლკის უფროსი მედეხინი. შემდეგ გაიმართა მიტინგი ძმათა სასაფლაოზე, სადაც სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. საჯაიამ, ეგუტმა, კუზნეცოვმა და ბობროვმა მიტინგი დასრულდა ინტერნაციონალის შესრულებით. აქედან პროცესია გაემართა ზღვის პირის ბაღისაკენ, სადაც საძირკველი ჩაუყარეს ნინოშვილისა და საქართველოს მუშების და გლეხების კავშირის ძეგლებს. ამის შემდეგ გაიმართა მიტინგი, მანიფესტანტებმა გაიარეს მუშათა სასახლის წინ, სადაც გაიმართა აღლუმი. ცირკში გაიმართა სააგიტაციო წარმოდგენა, აქ პირველად გამოუშვეს ცოცხალი გაზეთი ბათომის გრუზავროსტასი, რომელსაც ხალხი დიდის ინტერესით შეხვდა.

**ქუთაისი**, (დეპეშა). მაისის 26, დილიდანვე ქუთაისი საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს. ქალაქი მორთულია არკებით, დროშებით ყვავილებით და პლაკატებით. ადრიდანვე ხალხმა დაიწყო თავყრა პარიზის კომუნის მოედანზე. მოედანი გაჭედილია აუარებელი ხალხით, მწყობრათ ჩამწკრივებულ წითელ არმიელებით. მათ ამშვენებს წითელი დროშები. ყოველივე ეს საუცხოვო სანახაობაა. აქ გაიმართა აღლუმი. ამის შემდეგ ოქტომბრის რევოლიუციის მოედანზე გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი. უკანასკნელად მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ოქტომბრის რევოლიუციამ რუსეთის ტერიტორიაზე მყოფ ყველა ერს მისცა თვითგამორკვევის სრული საშუალება. საქართველოს ყოფილმა მთავრობამ ამით ისარგებლა და მენშევიკებმა საქართველოს მუშები და გლეხები მიჰყიდეს კაპიტალისტებს. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ, როგორც დღეს მუშების და გლეხების განთავისუფლებას ბურჟუაზიისაგან და მის ლაქიებისაგან. აწიერიდან საქართველოს მშრომელნი, მაისის 26 დღესასწაულობენ, როგორც დღეს რუსეთის პროლეტარიატთან ძმურ კავშირისას და ფიცსა სდებს წითელ არმიასთან ერთად, რომ მედგრად დაიცვენ საქართველოს მიწა წყალზე აფრიალებულ წითელ დროშას.

### წითელ არმიის შედგენა.

**თიანეთი**. 22 მაისი (დეპ.). 19 მაისს თიანეთში მოხდა მთელი ხევსურეთის რევკომების წარმომადგენელთა კრება. თიანეთის მაზრის სამხედრო კომისარმა ამხ. ჩუბინაშვილმა გააცნო კრებას წითელ არმიის დიადი მნიშვნელობა. ამხ. ჩუბინაშვილის მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა ღლიძრას შუამდგომლობა ხევსურეთში წითელ ცხენოსანთა რაზმის შედგენის შესახებ, რომლის შენახვასაც თავს იდებს თვით ხევსურეთის მცხოვრებნი. ცხენოსანი რაზმი უნდა იყოს სამხედრო რაზმის სრულ განკარგულებაში. დასასრულ კრებამ დაადგინა მიესალმოს საბჭ. საქართველოს სახელოვან ხელმძღვანელთ და ძლიერ საბჭოთა წითელ არმიას, რომელიც თავის დაუღალავ ბრძოლით აერთებს მთელი ქვეყნის პროლეტარებს ერთ განუყოფელ ჯგუფად.

### სურამი

(დეპეშით). მრავალრიცხოვანმა მიტინგმა აღუთქვა თავის ერთგულება საქართველოს მუშა-გლეხთა მთავრობას, როგორც მის ერთგულ დამცველს.

### ყარაია

(დეპეშით). ყარაიაზის რაიონის გლეხთა ყრილობამ, რიცხვით 250 დელეგატმა მაისის 26 სხდომაზე გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიდაც ის ესალმება საქართველოს რევკომს და სოციალიზმისთვის დაუღალავ მებრძოლ ამხ. მახარაძეს.

### გურჯაანი

გურჯაანის სადგურზე მაისის 26 შესდგა მიტინგი, რომლის მოწყობას ხელმძღვანელობდა კავროსტას სააგიტაციო ვაგონი „კავკასიის კომუნა“. მიტინგი დეპეშით მიესალმა საქართველოს რევკომს.

### ფოთი

27 მაისი (დეპეშა) სოფ. ხეთის მუშების და გლეხების კრებამ ეკონომიურ მდგომარეობის საკითხის შესახებ დაადგინა: ღარიცხულ იქმნას სიმინდი მოსახლეობათა შორის გასანაწილებლად. ინტენსიურად მუშაობს ხუთი აგიტ-პუნქტი, რომელსაც გულმოდგინეთ ეხმარება ადგილობრივი მასახლეობა, გაზეთების კითხვის შემდეგ იმართება საუბარი წერა-კითხვის უცოდინარობისთვის. სოფ. ქვალონში შესდგა პირველი შაბათი, გაწმინდეს ერთი ნახევარი ქცევა მიწა, კომუნისტურ ბოსტნის გასაშენებლათ.

### ზესტაფონი-ყვირილა.

(დეპეშით). მაისის 14 ზესტაფონში მოეწყო პირველი შაბათობა პარტკომის თაოსნობით. შაბათობამ ბრწყინვალეთ ჩაიარა. მონაწილეობას იღებდა 180 კაცი. მათ რიცხვში ქალებიც. დეპოს მახლობლად ნახშირის ნაცრისაგან გაწმენდილია რკინის გზის ლიანდაგი, რომლითაც დატვირთულ იქნა 17 ვაგონი. ნაცარი დაყრილია ქალაქის გარეთ. მუშაობა გაგრძელდა 3 საათს. მაისის 15 მოეწყო დიდებული კვირაობა ქალაქისაგან 3 ვერსით დაშორებულ საქართ. სანერგეში. მონაწილეობა მიიღო 85 კაცმა, მამაკაცებმა და დედაკაცებმა, უფრო კომუნისტებმა და თანამგრძნობლებმა. მუშაობდნენ ბაღში და ვენახში. მუშაობის დროს უკრავდა ორკესტრი და მღეროდნენ რევოლიუციონურ ჰიმნს. მუშაობა გაგრძელდა 4 საათს.

### ბორჯომი.

(ტელეგრაფით, 20 მაისი). ბაკურიანის რევკომის დახმარებით ბაკურიანში დაარსეს კომუნა ლენინის სახელობაზე. კომუნას მისცეს 6 დესეტინა მიწა, რომელშიც დათესეს ქერი და კარტოფილი. კომუნაში შედის 40 კაცი, სულ კომუნისტები. აქვთ ინვენტარი და ჰყავს საქონელი. ღესვამ ბორჯომის რაიონში ბრწყინვალეთ ჩაიარა. დათესეს ერთ ნახევარზე მეტი შარშანდელზე.

გრუზავროსტას აგიტპუნქტის ბაკურიანში თვენახევრის არსებობის დროს გახსნეს სამკითხველოები სოფლებში: დიდ ინტარბასა, ნათელ საყდარსა და თორში. სამკითხველოში ხალისიანად დაიარებიან გლეხები.

# აფხაზეთში

**სოხუმი** 28 მაისი (დეპ.). მშრომელთა ყრილობა. მაისის 26 გაიხსნა აფხაზეთის მშრომელთა ყრილობა. ყრილობაზე 300-მდე დელეგატი ჩამოვიდა. ყრილობა გაიხსნა სახელმწიფო თეატრში, რომელიც საზეიმოთაა მორთული. ყრილობას ხსნის აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარე ამხ. ეშბა. მისასალმებელ სიტყვაში იგი აღნიშნავს, რომ ყრილობას აქვს საქმიანი და ინფორმაციული ხასიათი, მან უნდა განამტკიცოს აფხაზეთის მშრომელთა შორის სრული ერთობა. შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობს საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ქავთარაძე. ის არკვევს თუ რა განსხვავება არსებობს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის შესახებ იმპერიალისტური ლოზუნგისა და საბჭოთა მმართველობის ლოზუნგს შორის. პირველი იმონავებს ხალხს პოლიტიკურათ და ეკონომიურათ, ხოლო მეორე სრული სეპარატიზმს აღიარებს. შემდეგ ის აქვეყნებს საქართველოს რევკომის დეკლარაციას აფხაზეთისადმი დამოუკიდებულების მინიჭების შესახებ. ამ დეკლარაციას დამსწრე საზოგადოება და დელეგაცია დიდის აღფრთოვანებით შეხვდა და მოისმინეს ზეზე დგომით. დარბაზში მოისმის გრიალი—„გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს დამოუკიდებელ აფხაზეთს“. ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს აგრეთვე ყრილობას ესალმებიან კომპარტიის საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე კომპარტიის წარმომადგენელი, წითელი არმიის სამხედრო კომისარი ამხ. ლაკობა და სხვ. ის ახასიათებს წითელი ჯარის ძლევა მოსილებას, რომელმაც შესძლო და კიდევაც მოსტეხა იმპერიალიზმს ხერხემალი და მით მან დაიცვა მშრომელთა ინტერესები. უკანასკნელათ ის ამხ. ტროცკის მიესალმება. ყველა ზეზე დგება, დარბაზში „ტროცკის გაუმარჯოს“ ძახილს გააქვს გრიალი, ორკესტრი კი ასრულებს ინტერნაციონალს. ყრილობის თავმჯდომარეთ იჩჩევენ ამხ. ეშბას, საპატიო თავმჯდომარეთ—ლენინს, ტროცკის, სტალინს და ორჯონიკიძეს.

ყველა სიტყვები რუსულიდან ითარგმნება აფხაზურათ, მეგრულათ და თათრულად. სხდომის დასასრულ დელეგატებისთვის მოაწყვეს ცალკე გაზეთი და გაიმართა წარმოდგენა. თეატრის დარბაზი მორთული იყო ყვავილებით. სხვადასხვა ენაზე დაწერილ გაზეთებმა განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ყრილობის მეორე დღეს ქალაქის ყველა დაწესებულებები და მთელი ქალაქი დაკეტილი იყო. მუშაობა ყველგან შესწყდა. ქალაქმა მიიღო დღესასწაულის ხასიათი, პროფ. კავშ. საბჭოს დარბაზთან თავი მოიყარეს ყველა პროფ. კავშირებმა. მანიფესტანტები რევოლიუციონური სიმღერითა და წითელი დროშებით გაემართნენ დარბაზისაკენ. აქ მათ მთელი ყრილობა წინ შემოეგება და ერთად მწყობრათ გასწიეს თავისუფლების მოედნისაკენ, სადაც სამხედრო ნაწილებს უკვე თავი მოეყარათ. აქ პირველათ გაიმართა ჯარების აღლუმი. აღლუმი მიიღო ყრილობის პრეზიდიუმმა. აქედან მანიფესტაცია დაიძრა სანაპირო ქუჩებისკენ, სადაც გაიხსნა აფხაზეთის, მენშევიკების უღლისგან განთავისუფლების, სამახსოვრო ძეგლი. წარმოითქვა სიტყვები, ილაპარაკეს ამხ. ეშბამ, ქავთარაძემ და ლაკობამ. მისალმების ნიშნადი გაისროლეს ზარბაზნებიდან, რეიდზე მდგომ უცხოეთის გემები დროშებით მოირთო. მთელს ქალაქში დიდი აღფრთოვანება სუფევდა. საღამოს კი ყრილობის დარბაზში ამხ. ქართარაძემ მიმდინარე მომენტზე მოხსენება გააკეთა.

# საბჭოთა რუსეთში

### მოწოდება განათლების მუშაკთადმი.

**მოსკოვი**. 18 მაისი. განათლების მუშაკთა ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მეცნიერების ყველა მოღვაწეთ, პროფესორებს და უმაღლეს აზროვნობის წარმომადგენლებს—მიიღონ პირდაპირი ბეჯითი მონაწილეობა მუშაობაში.

მეცნიერნი მუშაკნი და პროფესორები არ შედიან რა საერთო განათლების მუშაკთა კავშირში, ამით უსპობენ განათლების მუშაკთა ფართო მასსებს ძვირფას თანამოღვაწე ხალხს, რომლებსაც აქვთ მეცნიერული აზროვნება და მისი მეთოდები. განისაზღვრენ რა შეუჩნეველ და უწყინარ მოღვაწეთა ფართო წრიდან, მათ გაყავთ გარდუვალი საზღვარი თავიანთს და ამ ნამდვილ სოციალურ აღზრდის საფუძვლების შემქნელთა შორის და ამით იწვევენ მათში გამოურკვევლობის მწვავე გრძნობას. შეუწყნარებელია აზრი, რომ თუნდაც ერთს რუს პროფესორს და მეცნიერს დავიწყებოდეს პიროგოვის, მანასეინის და ტიმირიაზევის ანდერძი. აუცილებელია სეპარატიზმის უარყოფა, აუცილებელია შეერთებული ძალებით ახალი განათლების და კულტურის აშენება.

### საქონლის გაცვლა-გამოცვლა.

**მოსკოვი**. 17 მაისი ცენტრო კავშირის საბჭოს მორიგ სესიის სხდომის დროს განიხილეს საკითხი სახელმწიფოს მიერ „საქონლის გაცვლა გამოცვლის“ შესახებ. დელეგატებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ საქონლის გაცვლა წარმოადგენს ნორმალურ ფორმას სოფლის მეურნეობის იმ ნაწარმოების დასამზადებლად, რომელიც გადარჩება გადასახადს. ამასთან ვე აღნიშნული იყო, რომ საქონლის გაცვლის უფლება უნდა მიეცეს განსაკუთრებით კოოპერატივებს და რომ სასურსათო სახალხო კომისარიატი განსაკუთრებით უნდა ეცადოს ხალხს ნატურალური სასურსათო გადასახადი გამოართვას. ამ თვალსაზრისით, სასურსათო კომიტეტმა მთელი თავისი დამზადებული სურსათი უნდა გადასცეს კოოპერაციის ორგანოებს და შეინარჩუნოს საქონლის გაცვლის უფლება მხოლოთ იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ადგილობრივი კოოპერაცია მეტათ სუსტია. ამავე დროს აღნიშნული იყო, რომ საჭიროა ყოველნაირ ზომების მიღება მომხმარებელ კოოპერაციის საშუალო მოქმედების განსავითარებლად.

### ბარგის გადატანა.

**მოსკოვი**. 16 მაისი. მიმოსვლის სახალხო კომ. დამზადებელ სამართველომ თავისუფალ გაცვლის დეკრეტის გამო საჭიროთ იცნო დაიწესებია ნორმა ბარგის გადატანაზე მოქალაქეთათვის 5 ფუთი ერთ ბილეთზე: ამასთანავე 1 ფუთი შეუძლიან შეიტანონ ვაგონში, 4 კი მისცეს ბაგაჟში. ეს ნორმა მყარდება სურსათის შესახებ, საოჯახო ნივთები ამაში არ შედის. დამზადების სამართველომ იცნო საჭიროდ აგრეთვე გაადიდოს მიმოსვლის სახ. კომ. და მის აგენტების პასუხისმგებლობა ბარგის შენახვის საქმეში და დაკარგვის შემთხვევაში გადაუხადონ ნატურით, დაამყაროს ამისათვის წესი, რომელიც მოსპობს დაზარალებულთა ზედმეტ დროის დახარჯვას. დამზადების სამართველო იმ აზრისაა, რომ დამყარდეს პერსონალური პასუხისმგებლობა იმ პირის, რომელიც ნებას მისცემს ზედმეტ ბარგის წაღებისა და აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე ბარგის პატრონისა, მაგრამ თვით ბარგს არავითარ შემთხვევაში რეკვიზიცია არ გაუკეთდება და მით უმეტეს არ მოხდება კონფისკაცია.

## საქონლის გაცვლა-გამოცვლა საზღვარ გარეთთან.

**პეტერბურგი**, 28 მაისი. (რადიო). 27 მაისს კრონშტადტთან ახლოს გავლით მოვიდა პეტროგრადში პირველი უცხოეთის ტრანსპორტი ჰოლანდიის დროშის ქვეშ „ალექსანდრე პოლდენი“ რომლის ბაქანზე იყო 6000 ბოჩკა სელდი. როგორც კი ჰოლანდიის გემი მოუახლოვდა კრონშტადტის რეიდს, ჩვენი დრედნოუტი მას შეხვდა სალამით, დროშებით და მუსიკით. ჰოლანდიის გემმა რუს მეზღვაურთა საპასუხოთ მისცა მათ სალამი. „პოლდენი“ გამოვიდა ინგლისის ნავთსადგურ იარმუტიდან 18 მაისს.

## შრომის ფრონტზე.

**მოსკოვი**, 30 მაისი (რადიო). დონის ოლქ ს, გორლოვის რაიონის მაღაროს მუშებმა მორიგი კვირაობა მოაწყეს. მუშაობდა 3000 მაღაროელი, ამოღებულია 30 ათასი ფუთი ქვა ნახშირი.

ტაშკენტის რკინის გზის ლიანდაგი სრულიად გასწმინდეს რკინის გზელთა, ადგილობრივ მატარებელთა და მგზავრთა საერთო ძალ ღონით. მოძრაობა განახლდა, დაიძრა ყველა ტვირთი. ტორჟსკის ხელის საქსოვ ქარხანამ თებერვლის განმავლობაში მოგვცა ომის გამოცხადებამდე არსებულ წარმოების 50 პროც.

მინსკში გამართულია სახამებლის ქარხანა, რომელიც ამზადებს უმაღლეს ხარისხის სახამებელს. იქ ამუშავებულია დიდი სასოფლო-სამეურნეო სახელოსნო.

სმოლენსკიდან იტყობინებიან, რომ დასავლეთ ფრონტის რევოლიუციონურმა სამხედრო საბჭომ მის მიერ განზრახულ სმოლენსკის გუბერნიის მუშებისადმი დასახმარებლად, რაიც გამოიხატება

მუშებისთვის ზარშან დამზადებულ შეშის გადმოტანაში, დაადგინა: მახლობელ ორ კვირას მთელ დღეს საავტომობილო და არა ტეხნიკური ტრანსპორტი გადასცეს მუშათა ყოფა ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიას შეშის გადმოსატანად.

## თევზის დამზადება.

**მოსკოვი**. 18 მაისი. შრომის და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა და ინტერესებულ დაწესებულებებს საჩქაროთ და ყოველ მხრივ დაეხმარონ თევზის დამზადების საქმეს: სამხედრო სარევოლიუციო საბჭოს წინადადება მიეცა გამოყოს ჯარის ნაწილებიდან 18 000 კაცი, რომლებიც უნდა გაიგზავნონ თევზის სამრეწველოებში სამუშაოთ; შრომის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა დააჩქაროს მომუშავე ქალთა მობილიზაცია, ს. ც. ს. პ. ს. წინადადება მიეცა გაგზავნოს ადგილზე 50,000 კომპლექტი ტანსაცმელი, 30,000 წყვილი რეზინის ჩექმები და სხვა. საგარეო ვაჭრობის განყოფილებას წინადადება მიეცა დააჩქაროს შესრულება შეკვეთილი გასაბმელ თასმების და ბადეების დამზადება.

## სოფელთან საქონლის გაცვლა.

**ყაზანი**. 27 მაისი. (რადიო). რადიობაზას სახელოსნო შეუდგა სხვადასხვა კლიტეების დამზადებას სოფლის საქონელზე გასაცვლელად.

**არხანგელსკი**. 16 მაისი. (რადიო). საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით საქონლის გასაცვლელად გადადებულია 2,300 ფუთი საპონი, 2,000 მარილი, 2,000 ფ. რკინა, 2,000 ცალი ცული და 1,200 ფ. თოკი.

**ტამბოვი**. 28 მაისი. (რადიო). უმანოვსკის და კირსანოვსკის მაზრები ფართედ შეუდგნენ საქონლის გაცვლას. სოფელში იგზავნება მრავალი საქონელი. თვითონ ქალაქ უმანში არსდება კოოპერაციული გამცვლელი დუქანი (კავროსტა).

# საზღვარ გარეთ

გრუკავროსტას დეპეშები.

## ყვითელ კოოპერატივთა კოპენჰაგენის კონფერენცია.

**მოსკოვი**. 30 მაისი. (რადიო). აპრილის დასაწყისს კოპენჰაგენში მოხდა საერთაშორისო ყვითელ კოოპერატიულ კავშირის ცენტრალურ კომიტეტის სხდომა. რუსეთის სახელით გამოვიდნენ ბერკენჰეიმი და ზელვეიმი, გაქცეულ თეთრგვარდიელთა მიერ ნდობით აღჭურვილნი, რომელთაც გატაცებული აქვთ ნაქურდალი რუსეთის მშრომელთა კუთვნილი ოქრო. ეს კონფერენცია ბურჟუაზიას საამებელს უკმევდა. ერთა ლიგის გაკიცხვის მაგიერ კონფერენციამ კეთილ-გონივრულად გადაწყვიტა ერთა ლიგასთან შრომის ბიუროს დაარსება, რომელშიაც უნდა შევიდნენ ყვითელ კოოპერაციის წარმომადგენლები. გადამწყვეტ ბრძოლის მაგიერ ყვითელი კოოპერატორები თავს იმართლებენ ბუნდოვანი სურვილებით, რომ ვითომც საკუთარი ძალღონით შესცვლიან არსებულ კაპიტალისტთა ძალმომრეობის წყალობას კოოპერატივთა ორგანიზაციით, რომელსაც დამაკმაყოფილებელია ყველა (დამახინჯებულია)... ადვილათ გასაგებია, თუ ყვითელი კოოპერაციის წყობილება რუსეთისადმი რატომაა უარყოფითი. არ იქნებოდა ზედმეტი, რომ კოპენჰაგენში შეკრებილ ბატონებს სცოდნოდათ, რომ საბჭოთა რესპუბლიკის კოოპერატიულ გაერთიანებაში შედის რესპუბლიკის მოსახლეობა, რომელთა შორისაც იგი ანაწილებს კვებისა და ფართე მოხმარებისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგეს და რომელიც იღებს მონაწილეობას დ მზადებაში და წარმოების ორგანიზაციაშია. განა დრო არ არის ყვითელ კოოპერაციის მოსპობისა, ისეთივე გადამწყვეტ საშუალებით, როგორც მოვიქეცით ყვითელ ინტერნაციონალებს. (კავროსტა).

## რუსეთ-გერმანიის შეთანხმება.

**ნაუენი**. 30 მაისი (რადიო). რუსეთსა და გერმანიის შორის დადებულია შეთანხმება ორივე დელეგაციის მოქმედების სფეროს გასაფართოვებლათ და ამას გარდა დამატებით შეთანხმება რუსეთის და გერმანიის სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნების შესახებ. გაზეთი „ფოსიშე ცეიტუნგი“ იუწყება რომ პირველი შეთანხმების ძალით ორივე მხარე ვალდებულია თავი შეიკავოს იმ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდისაგან, რომლის სახელმწიფოებშიც იმყოფებიან. შეთანხმება აწესრიგებს სავაჭრო ურთიერთობას ორივე მხარის შორის და უზრუნველყოფს ერთი სახელმწიფოს ქვეშევრდომის მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ ქონებას. ტყვეების შესახებ დამატებით შეთანხმების ძალით ყველა სამხედრო და სამო[illegible] ტყვეები განურჩევლად [illegible]ნენ სამშობლოში

## მუშათა მოძრაობა სტამბოლში.

**ბათომი**. 27 მაისი. (დეპეშა). მუშათა მოძრაობა სტამბოლში ფართე ხასიათს ღებულობს. ტრამვაის მუშებმა მოითხოვეს 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, ტრამვაის სათბობი მასალით უზრუნველყოფა და ადმინისტრაციის ზოგიერთი მოხელე პირთა გაძევება. თუ გაფიცვა მოხდა, მათ შეუერთდებიან ელექტრონის სადგურისა და ქარხნის მუშებიც.

## ინგლისელების დახმარება ბერძნებისადმი

**ანგორა**. 20 მაისი. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ ინგლისელებმა გემებზე დატვირთეს 12 მძიმე ზარბაზანი ბერძნებისათვის გასაგზავნათ, ყუმბარების დიდი რაოდენობა და ცხენები, ამ ზარბაზნებისთვის ყველა საჭირო მასალა. სამხედრო მასალით დატვირთული გემები მოვიდა მუდანიაში, სადაც ისინი გადმოტვირთეს ბერძნებმა. ამავე დროს ინგლისელებმა ბერძნებისათვის სტამბოლში შეისყიდეს დიდი რაოდენობა ჯორებისა, ცხენები კავალერიისა და არტილერიისათვის. ეს ყველაფერი გაიგზავნა გოლანდიის ნავთსადგურთან.

## ომის გამომწვევთა გასამართლება

**ლონდონი**, 25 მაისი. (რადიო). ომის გამომწვევთა გასასამართლებლათ დაარსებულმა სასამართლომ მიუსაჯა რამოდენიმე გერმანელ უნტერ ოფიცერს 10 დღით დაპატიმრება სამხედრო ტყვებისადმი ცუდათ მოპყრობისათვის.

## ებრაელების დევნა.

**სტამბოლი**. 17 მაისი. სტამბოლში ბნელმა ძალებმა სცადეს დარბევის მოხდენა. ებრაელთა სინაგოგის შენობის ახლოს დააგდეს სისხლში გასვრილი საფრთხობელა (ჩუჩელო) და გაავრცელეს ხმა რიტუალურ სიკვდილის შესახებ. გრბომ დაიწყო ებრაელთა მაღაზიების რბევა. პოლიციამ გაფანტა. და დაატუსაღა დამნაშავენი.

## ამერიკა ჰშველის რევოლიუციონურ ირლანდიას.

**ლონდონი**, 28 მაისი. (რადიო), ინგლისის დეპუტატთა პალატაში საჯაროთ ხმა მაღლა გამოსთქვეს ჩივილი, რომ ამერიკა დახმარებას უწევს ირლანდიის სინფეინერებს.

## ინგლისური შპიონაჟი

**ბათუმი**. 27 მაისი (დეპეშა). ანგორიდან იუწყებიან, რომ სტამბოლის სამხედრო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ნიმრუდი რამდენიმე პირის თანხლებით სტამბოლიდან დამასკში გაემგზავრა. ნიმრუდმა ინგლისელებიდან მიიღო დიდძალი თანხა. მის თანხმლებელთ დავალებული აქვთ მესოპოტამიის მიმოვლა, და იქ ინგლისური შეკვეთით ნაწარმოების გავრცელება და ადგილობრივ მცხოვრებთა შორის საპროვოკაციო მიზნით განხეთქილების შეტანა.

## ხორბლეულობის შემოტანა.

**ლონდონი**, 28 მაისი. (რადიო). მინისტრთა საბჭომ დაადგინა ნება დართოს საფრანგეთში ხორბლეულობის შემოტანისა.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ, იმჯელა რა მთავრობის მოქმედების შესახებ, ბრიანის მთავრობას ნდობა გამოუცხადა 391 ხმით 157 წინაღმდეგ.

## საბჭოთა დელეგაცია რჩება რომში

**ლონდონი** 28 მაისი. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ სფორცასთან მოლაპარაკების შემდეგ, საბჭოთა დელეგაცია რომში დარჩა.

## სალამი მოსკოვის აღმასრულებელ კომიტეტს

**ვარშავა** 18 მაისი. ვარშავის კომუნისტებმა მოსკოვის აღმასრულებელ კომიტეტს მიმართეს შემდეგი მოსასალმებელი დეპეშით: „ოქვენ აქედან ამაყად უცქერით მოსკოვის პროლეტარიატს“ რომელიც მტკიცეთ და შეუდარებლათ სდგას მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდში. კომუნისტურ რევოლიუციის გამარჯვებ სათვის, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ რომ ახლად არჩეული მოსკოვის საბჭო რუსეთის პროლეტარიატის სათავეში მოქცეული, მომავალშიც ასეთი, შეურყევლათ განაგრძობს წინსვლას დიდი ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა განსამტკიცებლად. ჩვენი გონება და ნებისყოფა გამსჭვალულია თქვენთან ერთობის სურვილით და საბჭოთა რუსეთის განმტკიცების მისწრაფებით. მოსკოვის პროლეტარიატი ეკონომიურ ელონძიების ბრძოლაში, შესძლებს გამოიჩინოს თავის შემოქმედებით ძალის დაუშრეტელი მარაგი და განამტკიცოს საერთაშორისო კომუნისტურ რევოლიუციის საიმედო საფუძველი.

## კომუნისტ კოოპერატორთა მოწოდება.

**პარიზი**. კომუნისტ კოოპერატორთა კომიტეტმა საფრანგეთის ყველა კოოპერატიულ საზოგადოებას წინადადებით მიმართა, რათა დაუყოვნებლივ შესწყვიტონ დამოკიდებულება ყველა იმპერიალისტურ და მილიტარულ სახელმწიფოებთან. კომიტეტი მოითხოვს რომ დაუყოვნებლივ განაახლონ დამოკიდებულება რუსეთის კოოპერატორებთან და მოამზადონ საქონლის გაცვლა ამ ორ ქვეყნის შორის. კომიტეტი აღნიშნავს საჭიროა რომ საფრანგეთის კოოპერატიულ საზოგადოებებმა თავის პროპაგანდისათვის გამოიყენონ საბჭოთა რუსეთის გამოცდილება, განსაკუთრებით საქონლის განაწილების და გადაცვლის სფეროში.

## კომუნიზმი საფრანგეთში.

**ბერლინი**, 18 მაისი. პარიზში შრომის საგარეო ფედერაციის კომიტეტის სხდომაზე, კომიტეტის წევრმა ჟოუმ განაცხადა, რომ საფრანგეთის ფაბრიკა-ქარხნებში ძლიერდება კომიჩეიკების მოქმედება. ამავე კრებაზე განაცხადეს პროტესტი საფრანგეთის სინდიკალისტების რევიზიონიზმის წინააღმდეგ. ბურჟუაზიული პრესა წინასწარმეტყველობს განხეთქილებას შრომის საერთაშორისო კონფერენციაში.

## ხალხთა მომარაგება ნავთით.

**ბერლინი**. „ჩიკაგოს ტრიბუნა“ იუწყება, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა, ჰოლანდიის მიმართ ნოტით, რომლებიც აღნიშნავს, რომ ნავთის საკითხის საერთაშორისო მასშტაბით გადაწყვეტის დროს, დამყარებული უნდა იქნეს ნავთიან ადგილებში ექსპლოატაციაში ყველა ერთენების მონაწილეობის პრინციპი. ესევე პრინციპი უნდა იქნას მიღებული ნავთის განაწილების დროს, მიუხედავათ ამისა, თუ ვის ტერიტორიაზე იმყოფებოდა ნავთის სამრეწველოები.

## საფრანგეთის საწინააღმდეგო მანიფესტაცია.

**რომი**. „ავანტი“ იუწყება, როს პარიზიდან მოსული ცნობების თანახმათ, იქ მოხდა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობდა ასი ათასი კაცზე მეტი. ამ დემონსტრაციას მთავრობის საწინააღმდეგო ხასიათი ჰქონდა. დემონსტრანტების დასაშლელად გამოიწვიეს პოლიცია. შეტაკების დროს მოკლულ იქნა ერთი და დაიჭრა რამდენიმე კაცი.

## ინგლისელების დანაკლისი ინდოეთში.

**რომი**. „ავანტი“ იუწყება რომ ინდოეთში ინგლისელების დანაკლის 1919 წლის იანვრიდან 1920 წლის აპრილამდე უდრიდა 300 ინგლისელ და 5000 ინდოელ ჯარის კაცს (დახოცილების) 1920 წლის დამლევამდე დაჭრილ დახოცილთა რიცხვი 10,000 კაცს აღემატება.

## ბუნების კალთებზე

ყვავილები, ყვავილები,
ფოთლები და მოლი.
იქით მთიდგან წამოსული
ცივი ცრემლის ზოლი.
ტყეში—ჩრდილი, სოფლის გზაზე
ალმური და მტვერი,
გზის პირად კი—ყვავილები
ისევ მრავალფერი...
ყვავილებზე მოშრიალე
და ფრთა-ფარფატები
დაფრინავენ პეპლები, ვით
ჰაეროსტატები.
ეკლის ბუჩქზე ჩამომჯდარი
შაშვი ჩანგურს უკრავს:
ჩვენ სიამეს გვფენს და თავის
სატრფოს კი გულს უკლავს.
ბულბულის ხმაც იმის შორით
როლაც მოწყენილი...
ყველგან ლხენა—სიამე
პირს გადმოდენილი...
და მდინარის, დიდ მდინარის
პირად გაშლილ ველებს
გულს უხსნიან, კისერ ჩამწვარ
ვხედავ მხვნელ-მოესველებს.
გულს უხსნიან ყამირ მიწებს,
ზედ ოფლს აპკურებენ,
მოჰყავთ პური და ქვეყანას
ამით აპურებენ.
მათ სახეზე თქვენ ვერ აჩნევთ
ვერც სევდას ვერც წყენას,
ვერც ბუნება ხიბლავს იმათ
ხედვასა და სმენას.
მათი გული მიწის გულს ჰგავს,
კანი—მიწის კანსა,
და ოცნებაც თავს ევლება
მათი სხვა საგანსა!
რის ბულბული, რის პეპელა,
რის ვარდი, ან ია,
როცა მათ ოფლს და სისხლს ითხოვს,
ქვეყნის მხვრელი ჰია...
მათი მკერდი ისე ქშინავს,
როგორც საბერველი,
გული მათი ქურა არის,
რკინის გამდნობელი!
მათი მკერდი გრდემლი არის,
სული მათი—ცეცხლი,
მათის ხელით ოქრო მოდის,
ითესება ვერცხლი...
და მზის სიცხე პაპანშია
იწვის იგი ნელა:
მიწას სძლევდა, მაგრამ ხლართამ
საქმე გაუძნელა!..
სთიბავს ხლართს, უთხრის ფესვებს,
ნარ-ეკალს და ბარდსა,
შრომის ეკლებს მსხვერპლად უდებს
შრომის ია ვარდსა!..
და დღეს სწორეთ ამ ხნულს იგი
მისთვის დაჰღიღინებს,
რომ მის შრომის ზურმუხტის ზღვა
ხვალ აქ იბიბინებს!
აი ამ წუთს მის ოცნებას
ფრთებს რა აშლევინებს
და მჭერ გულთქმას ტკბილ სიმღერათ
გამოათქმევინებს!.

ნ. ზომლეთელი.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## ბრძანება № 55

### ს. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა

1. ს. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილების თანახმად ყველა ექიმთა ექიმს და ფერშალს, რომელიც სცხოვრობს ქ. ტფილისში, მიუხედავათ იმისა, იმყოფება იგი სახელმწიფო, საზოგადო ან კერძო სამსახურში, თუ უსამსახუროთ არის, წინადადება ეძლევა ამ ბრძანების გამოქვეყნების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში სარეგისტრაციოთ გამოცხადდეს დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საექიმო სასანიტარო განყოფილებაში (ტფილისი, კობის ქ. სახლი № 9).

2. ექიმთა ექიმები და ფერშლები, რომელნიც სცხოვრობენ ტფილისის ბორჩალოის, თელავისა, თიონეთისა, დუშეთისა, გორისა, ახალციხისა, ახალქალაქისა, ქუთაისისა, შორაპნისა, ოზურგეთისა, სენაკისა, ზუგდიდისა, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში, გამოცხადდნენ სარეგისტრაციოთ ადგილობრივ რევკომებში.

**შენიშვნა**. რეგისტრაციის დრო ზემოხსენებულ მაზრებში განსაზღვრულ იქნება ადგილობრივი მაზრის რევკომების მიერ ამ ბრძანების მიღების შემდეგ.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

31 მაისი 1921 წ.

ტფილისი—სასახლე.

## ბრძანება № 56.

### საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

ფინანსთა სახალხო კომისარის ამხ. ნაზარეტიანის სხვაგან წასვლის გამო, ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილეთ დროებით ინიშნება ამხ. მალაქია ტოროშელიძე, რომელსაც წინადადება ეძლევა დღეიდანვე შეუდგეს ფინანსთა კომისარის მოადგილის მოვალეობის ასრულებას.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქვარკველია.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. მაისის 31-ს

ტფილისი—სასახლე.

# ქრონიკა

საქართველოს რევკომში. საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის პრეზიდიუმმა 30 მაისის სხდომაზე განიხილა ს. პ. კ. ს. შუამდგომლობა ბინების განაწილების შესახებ გამოცემულ დეკრეტის № 38 გადასინჯვაზე და დაადგინა შეიტანოს დეკრეტში შემდეგი შენიშვნა:

ა) მუხლი მეექვსე გამოირიცხოს ბ) მუშებისათვის ჩასასახლებლათ დანიშნულ შენობებზე დეკრეტი № 38 არ იქმნეს გავრცელებული.

✦ **შინაგან საქმეთა კომისარიატში**. ვინაიდან შინაგან საქმეთა კომისარიატში ბევრი შემოსულა საჩივრები შემოსული თუშამის და ხევსურის რაიონებიდან ადგილობრივ რევკომებისა და ადმინისტრატიულ თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებაზე, შინაგან საქმეთა კომისარიატი გზავნის ხსენებულ რაიონებში საგანგებო კომისიას. კომისიაში შედიან—ორი წარმომადგენელი შინაგან საქმეთა კომისარიატის და ერთი კომპარტიის ცეკასი. მას მინდობილი აქვს სასტიკი გამოძიების მოხდენა ადგილობრივათ შინაგან საქმეთა კომ. უწყების ადგილობრივ დაწესებულებათა რევიზია საჭიროების მიხედვით, აგრეთვე დატუსაღება და თანამდებობიდან გადაყენება დამნაშავე პირთა. ასეთივე მიზნით ამ დღეებში მიემგზავრება საგანგებო კომისია ახალციხის მაზრაში და აბასთუმანში.

✦ **ავათმყოფთა გამოკვება**. ჯანმრთელობის დაცველი კომიტეტი აქ ამ ხანად სცდილობს გააუმჯობესოს ქ. ტფილისის და საქართველოს რესპუბლიკის სავადმყოფოებში მოთავსებულ ავადმყოფთა კვება. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ფიზიკურიულ სავადმყოფოს ავადმყოფებს. კვების პირობების გაუმჯობესება გამოიხატება ჯერ საკვების თვისების გაუმჯობესებაში და ზედმეტ ულუფის გადიდებაში.

✦ **ცენტრალურ საბინაო განყოფილებაში**. ქალაქის რევკომის ცენტრალური საბინაო განყოფილების თავმჯდომარე ამხ. მეგრელიშვილი კომპარტიის დუშეთის და თიონეთის მაზრის ორგანიზაციების მოთხოვნილებით მიდის აღნიშნულ მაზრებში პარტიულ მუშაობისათვის. ცენტრალურ საბინაო განყოფილების თავმჯდომარეთ ინიშნება კომუნალურ მეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვაშაძე. ამხ. მეგრელიშვილი ამ დღეებში ჩააბარებს თავის თანამდებობას.

✦ **ტანსაცმელით მომარაგება მუშებისათვის**. საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოს ეკონომიურმა განყოფილებამ შეატყობინა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომ არც პროფესიონალური საბჭოს პრეზიდიუმი და არც მისი ეკონომიური განყოფილება კერძო პიროვნებებათ არ აძლევს ტანსაცმელს. მის მიზანს შეადგენს მხოლოდ დასახულ გეგმით მუშებისათვის მომარაგება.

✦ **დაბეჯა-გასწორების განყოფილებაში**. დაბრუნდა დასავლეთ-საქართველოდან დაბეჯ—გასწორების განყოფილების კომისარი. იგი იყო წასული ადგილობრივ გამასწორებელ სახლების დასათვალიერებლად და სხვა და სხვა ადგილობრივ საქმეთა მოსაგვარებლად, მიღებულ იქნა ზომები სატუსაღოთა მოსაწესრიგებლად და ადგილობრივ ხელისუფლების და მათ შორის ურთიერთობის დასამყარებლად. ადგილობრივი მუშაობა თანდათან ეწყობა.

✦ **საკურორტო გზის გაყვანა**. კურორტ წყალტუბოზე ავადმყოფების გადასაყვანად ქუთაისსა და წყალტუბოს შუა გზის გაყვანისათვის სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტი შეუდგა ყველა იმ მასალის შესწავლას, რომელიც კი შეეხება ხსენებულ გზის გაყვანას.

✦ **ფიზიკო-ტერაპევტიური ინსტიტუტი**. ახლო დღეებში ტფილისში მოეწყობა ფიზიკო-ტერაპევტიური ინსტიტუტი, სადაც იხმარებენ სამკურნალო რადიუმის სხივებს, მოეწყობა სხივებით წამლობა და სხვ. საქართველოს ამ ერთი ტიპის პირველ სამკურნალოს სათავეში ჩაუდგება პროფესორი ღამბარაშვილი. ინსტიტუტი იქნება მოთავსებული ოლღას ქუჩაზე სახლი № 18.

✦ **მტკვრის დონეს ცვლილებაზე თვალყურის დევნება**. რადგანაც მოსალოდნელია მტკვრის ადიდება, ამიტომ საჭიროა გამაფრთხილებელი ზომების მიღების მიზნით, სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტმა ჰიდრო აღმშენებლობის საშუალებით დააწესა მტკვრის დონის შეცვლაზე მუდმივი თვალყურის დევნება.

✦ **სოციალურ უზრუნველყოფის საბჭო**. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საინსტრუქციო კომისარიატის საინსტრუქციო კომისია გაემგზავრა თელავის, სიღნაღის და თიანეთის მაზრებში სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებათა მოსაწყობად და მისი მუშაობის გასატარებლად.

✦ **მაწყვის მოწყვა**. სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტმა მოიწონა მუშაობის გეგმა გორის ციხის მიწების მოწყვის შესახებ. ამ საქმის შესრულება წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას. დადგენილია გაღებული იქნას საჭირო კრედიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიული ცხოვრება

**ხაშური.**

დღიდან საბჭოთა მთავრობის გამოცხადებისა ხაშურში ადგილობრივი პარტიული კომიტეტი ენერგიულად შეუდგა პარტიულ მუშაობას. მისი მუშაობა არ განისაზღვრებოდა მარტო ხაშურის რაიონით, არამედ ისე, როგორც არალეგალურ მუშაობის დროს, იყო ხელმძღვანელი პარტიულ მუშაობისა გომის, ოქონის და ნაწილობრივ სურამის და ბორჯომის რაიონებისა. ამ ხნის განმავლობაში მოწყობილ იქმნა ხაშურის რაიონის გარეშე 36 კომიჩეიკა წევრთა საერთო რიცხვით 333 და ხაშურის რაიონში 23 კომიჩეიკა წევრთა საერთო რიცხვით 535. პარტიული კრებები მოწყობილა რაიონის გარეშე 53 და ხაშურის რაიონში 38. პარტიული მუშაობა კვლავ გრძელდება, რადგან კარგი ნიადაგი აქვს სოფლის გლეხობაში. წევრთა შემადგენლობა უმეტესად ძველი პარტიული ამხანაგებია, მენშევიკების დროს ფარულად მომუშავენი და ეს გვაძლევს სრულ გარანტიას, რომ რეგისტრაციის შემდეგ ზემოხსენებული რიცხვები ბევრად არ შეიცვლება.

პარტიული კომიტეტი თითქმის ყოველ შაბათს აწყობს გრანდიოზულ შაბათობას, რომლებშიაც იღებენ მონაწილეობას ყველა პარტიის წევრები, მუშები და სხვა მოქალაქენი.

შემდგარია ხაშურში კომუნისტური რაზმი, რომელიც ამხ. ენუქიძის ხელმძღვანელობით რეგულიარულად კვირაში ორჯერ ვარჯიშობს. რაზმში ჩაწერილია მთელი ქ. ხაშურის პარტიის წევრები და კანდიდატები.

გ. ბ.

**ახალსენაკი**

16 მაისს სენაკის სამაზრო პოლიტ-ბიუროს დარბაზში მოხდა კრება პოლიტ-ბიუროს თანამშრომელ კომუნისტების წევრების და კანდიდატების. კრების მიზანი იყო კომიჩეიკის დაარსება. დღის წესრიგში იდგას მიმდინარე საკითხები: 1) სისტემატიური მეცადინეობა კომიჩეიკის წევრთა შორის, 2) კომუნისტური ლიტერატურის შეძენა კომიჩეიკისთვის, 3) პარტიული დისციპლინა.

კრებამ მოისმინა რა ამხ. ჩაკვეტაძის მოხსენება მომენტზე და კომიჩეიკის მოვალეობაზე, პირველი საკითხის შესახებ კრება ადგენს: რათა ამხ. შორის იქნეს სათანადო შეგნება შეტანილი კვირაში მოხდეს ორჯერ სისტემატიური მეცადინეობა კომიჩეიკებში, სადაც სავალდებულოა და აუცილებელი ყველა კომიჩეიკის წევრების დასწრება.

მეორე საკითხის შესახებ კრება ადგენს: აღიძრას შუამდგომლობა სამაზრო პარტკომის საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილების გამგესთან, რათა კომიჩეიკას მოაწოდოს პარტიული ლიტერატურა.

მესამე საკითხის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა შემდეგი: პარტიულ ამხანაგებში იქნეს შემოღებული სასტიკი დისციპლინა, რაც გამოიხატება მათ მიერ ზნეობრიობის დაცვაში, პარტიის დადგენილების სიწმინდით ასრულებაში, უკლებლივ კრებაზე სიარულში. ყველა ამხანაგები მოვალე არიან სასტიკი თვალყური ადევნონ ყველა პარტიულ ამხანაგებს, რათა ისინი პირნათლად ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას და მასთან თვითეული ამხანაგი ვალდებულია ყოველივე პარტიული ამხანაგის უმსგავსო მოქმედება აცნობოს სენაკის სამაზრო პარტკომს. კრება დაიხურა. ამხანაგებში სუფევდა განუსაზღვრელი სულიერი სიმაღლე და ენტუზიაზმი.

კომიჩეიკის პასუხისმგებელი მდივანი **ლ. ჯანჯღავა.**

# პროფესიონალურ კავშირებში

**ქალაქის სახურხათო კომიტეტის თანამშრომლების** საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ბელეცკის პროფკავშირების მიზნების შესახებ სცნობს: რომ ოთხი წლის მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა გაანადგურა რა სახალხო მეურნეობა და ჩააგდო მუშათა კლასი მძიმე და აუტანელ ეკონომიურ პირობებში, ამასთან ერთად წარმოშობა საკითხი სახელმწიფო ძალა უფლების დაპყრობისა, რათა აღდგენილ იქნას დანგრეული მეურნეობა რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ თვით მშრომელთა მხურვალე მონაწილეობით მათი პროფესიონალურ კავშირების სახით. ამისათვის საერთო კრება აღნიშნავს საქართველოში პროფკავშირების მოწყობის სწორე ნიადაგზედ დაყენებას, სადაც პროფკავშირები არსდებიან წარმოების პრინციპის თანახმად.

მივესალმებით რა პროფკავშირების საბჭოს, საბჭოთა რესპუბლიკის თანამშრომელთა პროფკავშირს, საერთო კრება მოუწოდებს ყველა თანამშრომლებს მჭიდროდ დაუჭირონ პროფკავშირების საბჭოს და პროფკავშირს და მხურვალე მონაწილეობის მიღებით პროფკავშირებში ხელი შეუწყონ ჩვენი ქვეყნის მძიმე ეკონომიურ პირობებიდან გამოსვლას.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის შტაბს—მესამე ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალის დასაყრდნობს წითელ ჯარს.

გაუმარჯოს საწარმოო პროფკავშირებს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

# მუშათა ცხოვრება

27 მაის დღის სამ საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში ტრანსპორტის განყოფილების მომუშავეთა საერთო კრებაზე ამხ. გ. პარკაძემ გააკეთა მოხსენება კომუნისტურ შაბათობის შესახებ.

ამხ. გ. პარკაძემ სთქვა: კომუნისტური შაბათობა დაიბადა რუსეთის დიდი რევოლიუციის პროცესში, იმ დროს, როცა რუსეთის რევოლიუციის დაუძინებელი მტრები სცდილობდნენ ჩაეხჩოთ სისხლში მუშები და გლეხები, როცა იარაღით ბრძოლის გარდა მათ სურდათ შიმშილით ეღლოთ რევოლიუციის ციხესიმაგრეები, მაშინ დადგა საკითხი შებრძოლებოდა მუშები და გლეხები თავის მტრებს, როგორც იარაღით ხელში, აგრეთვე დიდი მუშაობის გაჩაღებით. აღსადგენი იყო კონტრევოლიუციისაგან დანგრეული რკინის გზები, ხიდები, ორთქლმავლები, საჭირო იყო დათესილი და მოვლილი ყოფილიყო მინდვრები. აი სამუშაო, რომელიც უნდა გაეკეთებინა რუსეთის მუშებს და გლეხებს შინ, სახლში, თუ არ უნდოდა მას ხელში ჩავარდნოდა გამძინარებულს კონტრევოლიუციას.

აი ამ პირობებში დაიბადა დიდებული აზრი კომუნისტური შაბათობაზე —კომუნისტური შაბათობა ეს იყო მოსკოვის რკინის გზის კომუნისტ მუშების პირველი გადადგმული ნაბიჯი, რომლითაც იმათ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის თავისი გულის ზრახვა და ფიქრი აცნობეს თუ როგორ უნდა მოეწყოს მომავალი.

მოსკოველ ამხანაგებს გამოეხმაურა მთელი რუსეთის რევოლიუციონური მასსა: ქალაქებში და სოფლებში.

ამჟამათ კომუნისტური შაბათობა არის საყოველთაო, თავისუფალი შრომის დღესასწაული მთელი რუსეთის ტერიტორიაზე.

კომუნისტური შაბათობა არის სიმბოლო მუშათა და გლეხთა აღფრთოვანების, შრომის მიმხიდველობის, როცა შრომა მუშებისათვის კატორღა აღარაა, როცა მშრომელი თავის მტრების სადღეგრძელოთ აღარ მუშაობს.

კომუნისტური შაბათობა ეს უდიდესი სკოლა მუშათა კლასის დასარაზმავათ, გონებრივათ გაწვრთნელათ. ეს არის სულიერათ დამაკავშირებელი მთელი ქვეყნის პროლეტარიატისაც, ამითი დაასრულა ამხ. გ. პარკაძემ თავის სიტყვა, რომლის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ ტრანსპორტის მუშებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. პარკაძის, ვეთანხმებით მომხსენებელს, რომ იმ დიდი ქაოსისა და ნგრევის ხანაში, რომელიც გამოწვეული იყო კაპიტალის მტაცებელი პოლიტიკისა და საერთაშორისო ომიანობის წყალობით, ჩვენ მუშებს დაგვრჩა ეკონომიური ცხოვრების გამოსასწორებლათ და აღსადგენათ დაუღალავი მუშაობა და შრომის გაწევა, რომელმაც უნდა წელში გაამაგროს საბჭოთა ხელისუფლება; ჩვენი მუყაითი უანგარო და დაუშრეტელი მუშაობით ჩვენ ცხოვრებას განვამტკიცებთ და ამ საშუალებით შრომის გამეფებას მოვუმზადებთ მტკიცე ნიადაგს.

გაუმარჯოს კომუნისტურ შაბათობას!

გაუმარჯოს რევოლიუციონურ პროლეტარიატს და მის ხელმძღვანელს 3 ინტერნაციონალს.

**გიორგი გარსიმაშვილი.**

# პროვინციაში

## ტობანიერის თემი.

ხ'ენეშული თემის ცენტრად ითვლება სოფელი შვამთა. შვამთაში არის გაშენებული ბაზარი, სადაც ყოველ კვირა დღე იმართება ბაზრობა და რომელსაც მრავალი საზოგადოება ესწრება სხვა და სხვა მხრიდან მოსულნი.

ბაზარს აღმოსავლეთით ჩამოუვლის მდინარე ყუმური, რომლის სათავე იწყება სამხრეთით საპაიჭოს მთებიდან და უერთდება ჩრდილოეთით მდინარე რიონს.

ეს მდინარე წვიმის დროს ხშირად დიდდება ზამთრობით და აგრეთვე ზაფხულობითაც; მას ჩამოაქვს შლამი მთებიდან და ანოყიერებს დაბლა სხვა ნაყანებს, რის შემდეგაც ძლიერ კარგ მოსავალს აძლევს მუშა ხალხს ის ადგილები, რომლებსაც მდინარე ყუმურის შლამი უწევს.

მაგრამ მისი გადიდებით ერთი დიდი ზარალი ეძლევა ტობ. თემის მცხოვრებლებს:

ყუმური, გადიდების დროს, არ ტოვებს უყურადღებოთ შვამთის ბაზარსაც. მრავალჯერ სტუმრებია შენობებს და აუოხრებია იქაურობა.

ასეთ შემთხვევას გადაურჩებოდა კაცი, რომ საუბედუროდ მდინარეს პირდაპირ ბაზრისაკენ არ გაეკეთებია კალაპოტი, რის შემდეგაც მიყო ნაპირების ნგრევას ხელი. შეიძლებოდა ამ მდინარის კალაპოტის ისე მოწყობა, რომ ნაპირების ნგრევა ვერ შესძლებოდა, მაგრამ ნათქვამია: „ურემი რო გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო" და სწორედ ეს ანდაზა გამართლდება ადგილობრივ რევკომს; როდესაც გამოუთხრის მდინარე ძირს რამოდენიმე შენობას და უკუღმა გადმოატრიალებს, მაშინ გამოაჩენენ გზას, მაგრამ გვიან იქმნება და სასურველი იქმნება, რომ ამ თავითვე მიექცეს ყურადღება ამ საქმეს.

— ამავე ბაზარში იმყოფება დაბალი და უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლები.

დაწყებითი სასწავლებელი დიდი ხანია არსებობს ამ ბაზარში და მას საკუთარი შენობაც აქვს. ამავე შენობაში იყო ამავე სასწავლებლის მასწავლებლისათვის თითო ოროლა ოთახი. შემდეგ ადგილობრივი შეგნებული პირების და საზოგადოების დახმარებით დააარსენ უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი. ამ სასწავლებლის მოწაფეების ნაწილი მოათავსენ სასოფლო სასამართლოს შენობაში და ეს უკანასკნელი დაწესებულება და მოწაფეთა მცირე ნაწილი ერთ ნაქირავებ დუქანში მოათავსეს. ასე ამ რიგად ნაწილი მოწაფეობისა სასოფლო სასამართლოს შენობაში სწავლობდა და ნაწილი ნაქირავებ დუქანში. გაითვალისწინა, რა ასეთი მდგომარეობა სასოწარკვეთილებისა, ადგილობრივმა მენშევიკურმა მთავრობამ გადასწყვიტა აეშენებია ქვის შენობა სასწავლებლისათვის. საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა ამ მოქმედებას. რამოდენიმე თვის შემდეგ ისე მოაწყვეს საქმე, რომ მზად იყო ყველაფერი, საჭირო იყო მარტო სპეციალისტი მუშები შენობის ასაშენებლად. მაგრამ ბალავერის ამოშენების შემდეგ ყველაფერი მიყრუვდა სიძვირის გამო და ეს უკანასკნელი კი თანდათან ძლიერდება და ეხლანდელ დროში ქვის კი არა, ხის შენობის აშენებაც ძნელია.

შემდეგ რაკი რამოდენიმე ოთახი სასწავლებლისა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებამ დაიკავა, ამიტომ ადგილობრივმა პირებმა გადასწყვიტეს დაწყებითი სასწავლებლის შენობაში მოეთავსებიათ ორივე სასწავლებელი და განეკრძოთ სწავლა. ამიტომ დილ დილობით სწავლობდა უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის მოწაფეები და ნაშუადღებს კი, დაბალი შკოლის მოწაფეები.

— აქვე იმყოფება კოოპერატივი, რომლის დაარსებისათვის მრავალი შრომა და ენერგია არის დახარჯული. დღიდან თავის დაარსებისა მან მრავალი გამგეობა გამოიცვალა. გამგეობის წევრები რაღაცას აკეთებდენ და თ ვინთი მოქმედებით ისე მოიყვანეს საქმე, რომ კოოპერატივს საკუთარი შენობა შესძინეს.

დღეს კოოპერატივი ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას და ეს უნდა მიეწეროს დღევანდელ ზღაპრულ სიძვირეს და უფრო კი, გამგეობის უმუშევრობას.

საჭიროა მეტი მუშაობა ხალხის საკეთილდღეოდ და ისეთი საქონლების მოტანა და მომზადება, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თემის მცხოვრებლებისათვის.

**ს. ყუბანეიშვილი.**

### სოფ. თამაკონი.

11 მაისს სოფელ თამაკონში მოხდა ქალთა კრება, თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ამხ. კატო იოსელიანი, მდივნად პელაგია ნაროუშვილი. კრებას დაესწრო 150 მდე ქალი.

მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. კატო გოგუაძემ მან მოკლედ შეეხო ქალთა თანამედროვე მდგომარეობას და საკითხს თუ რას აძლევს ქალს საბჭოთა მთავრობა.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. სამსონ მამულიამ, რომელმაც ვრცლად შეეხო ქალთა მდგომარეობას საბჭოთა მთავრობის დროს, რა უნდა აკეთოს თავისუფალმა მშრომელმა ქალმა, ილაპარაკა საბავშო ბაღის შესახებ, სენაკის ქალთა ყრილობის დელეგატებათ არჩეული იქმნა ორი წარმომადგენელი, ესმა მენაბდე და კატო ფალავა.

### სოფ. გორდი.

სოფ. გორდში შესდგა ქალთა კრება, სადაც დაესწრო ასამდე ქალი.

მოხსენება გააკეთა ამხ. ეკატერინე გოგუაძემ, რომელმაც შეეხო იმას თუ რა მდგომარეობაში იყო ქალი წინეთ, რა მოუტანა საბჭოთა მთავრობამ მშრომელ ქალს, ქალის დანიშნულება მომავალში, რა მიზანი აქვს ქალთა უპარტიო ორგანიზაციას.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. სამსონ მამულიამ თანამედროვე მომენტზე.

შემდეგ კი არჩეულ იქმნა დელეგატი ქალი სენაკის სამაზრო უპარტიო ქალთა ყრილობაზე დასასწრებლად კაროლინა ზემბერლენტი და მაიკო გელენიძე და სათათბირო ხმით მარო ჩიხლაძე.

### სამტრედია.

რამოდენიმე დღეა სამტრედიის რაიონში იყო გავრცელებული საზიზღარი პროვოკაცია, ცარცვის და სიყვარულის კვირის შესახებ. სად არ გაიგონებდით ამ საზიზღარ სიტყვებს. იყო შემთხვევები გლეხები უკანასკნელ საცვლებს და საქრავ მაშინებს მიწაში მარხავდენ. შეუგნებელი ხალხი, უმცირესობა, ამბობდა... „მთავრობისათვის უთხოვია წითელ ჯარს, რომ მიეცა მათთვის ცარცვის უფლებები. ამისთანა ხმებმა ძლიერ დააშინა ხალხი და გასტანა კარგა ხანს... მაგრამ არც არავინ გაუძარცვავთ და არც სიყვარულის კვირა გამოუცხადებიათ. ამრიგათ პროვოკატორებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ... მათ ეგონათ ამისთანა ხმებით შეეძლოთ გამოეწვიათ პანიკა ხალხში; უწინაც წითელ ჯარის შესახებ—ათას გვარ ხმებსავრცელებდენ, მაგრამ ყოველთვის დამარცხდენ. ნივთები მოქალაქეებმა უკვე ამოიღეს მიწიდგან. ეხლა არ ეშინიათ და ხალხი თან და თან მეტით ერკვევა სინამდვილეში. აი ხწოიებით ეს არის გაკოტრება—და განიარაღება, როგორც ზნეობრივათ ისე—გონებრივათაც იმ ვაჟბატონების, რომლებიც არ ისვენებდენ და არც დღეს ისვენებენ. ამიტომ სასტიკი ბრძოლა მათ წინააღმდეგ!.. უნდა აღმოვფხვრათ ერთხელ და სამუდამოთ მოღალატეები!

—

**ხაშური.** 25 მაისს ადგილობრივ მუშათა კლუბში შესდგა ხაშურის დეპოს მუშების კრება. კრებას დაესწრო 200 მდე მუშა. კრებაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ნატროევმა, რომელმაც განმარტა 26 მაისის დღესასწაულის მნიშვნელობა. ორატორი მხურვალე ტაშით დაჯილდოვებულ იქმნა—ხმის უმეტესობით კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ნატროევისა. ჩვენ ხაშურის დეპოს მუშები ვაცხადებთ, რომ ნამდვილი დამცველი მუშათა ინტერესებისა არის საბჭოთა მთავრობა. ამიტომ, ვიღებთ რა მხედველობაში ზემოხსენებულს, ვაცხადებთ, რომ ჩვენ მუდამ ვიქნებით დამცველნი მუშათა და გლეხთა მთავრობისა და აქტიურად შევებრძოლებით ყველა იმ კონტრრევოლიუციონურ და პროვოკაციულ ძალებს, რომლებიც კი მოინდომებენ საბჭოთა ხელისუფლების შელახვას. გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას! გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას და მის ხელმძღვანელებს ლენინს, ტროცკის, [illegible]

# წერილი რედ. მიმართ

ვსთხოვ გაზეთ კომუნისტის რედაქციას მოათავსოს შემდეგი განცხადება: ვინაიდან დღევანდელ პირობებში კომუნისტურ პარტიას სწორი ისტორიული ალღო აქვს აღებული და ერთად ერთი პარტიაა, რომელიც სავსებით გამოხატავს მუშების და ღარიბი გლეხის ინტერესებს, ამიტომ მე გამოვდივარ სოციალისტ - ფედერალისტების მემარცხენე ფრთიდან და გადავდივარ კომუნისტურ პარტიაში.

**შალვა აბესალაშვილი.**

18 მაისი, 1921 წ. ონი.

—

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი". ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—[illegible]ლის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—[illegible] ბაზრის, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ვე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—[illegible]

მე-5-თე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

**სარედაქციო კოლეგია.**

---

## ცირკულიარი ყველა პროფ. კავშირებს და კავშირთა ბიუროებს.

# ინსტრუქცია

**საქართველოს პროფკავშირთა კონფერენციის მოწვევის შესახებ.**

1) ს. პ. კ. ს. პლენუმის დადგენილების თანახმად 1921 წლის ივნისის 10 ს ტფილისში დანიშნულია საქართველოს პროფესიონალურ საწარმოო კავშირების კონფერენცია, რომლის მიზანს შეადგენს საწარმოო პრინციპის მიხედვით გარდაქმნილ საქართველოს კავშირების მიზნების დეტალურათ შესწავლა და დასახვა საქართველოს მუშათა კლასსა და რუსეთის და მთელი ქვეყნის პროლეტარიატს შორის კავშირის განმამტკიცებელ გზისა.

2) კონფერენციის ნაყოფიერ მუშაობისათვის საჭიროა ეხლავე მოეწყოს ადგილობრივ ფართო მუშათა კონფერენციები, რომელზედაც უნდა განხილულ იქნას სრულიად საქართველოს კონფერენციის დღის წესრიგი, და არჩეულ იქნეს დელეგატები.

3) დელეგატთა არჩევნები ხდება შემდეგი წესით.

ა) ცალკე საწარმოო კავშირები იწვევენ საზოგადო კრებას, ან კონფერენციას, სადაც ირჩევენ დელეგატებს.

ბ) იმ მაზრებში სადაც შეუძლებელია არჩევნების მოხდენა საწარმოო კავშირებში, იწვევენ ყველა კავშირების კონფერენციას და ახდენენ არჩევნებს ნორმების მიხედვით, ასევე უნდა მოხდეს სეკრეტარიატებშიაც.

4) წარმომადგენლობის ნორმები: კავშირები, რომლებშიაც 300-დან 500 წევრამდეა ირჩევენ ერთ წარმომადგენელს და ყოველ 500 წევრზე—თითოს.

შენიშვნა: კავშირები, რომლებშიაც 3,00 ნაკლები წევრი ითვლება უნდა შეერთდენ და ერთად მოახდინონ დელეგატების არჩევნები.

5) სარაიონო პროფსაბჭოები საერთო არჩევნების გარდა გზავნიან ორ-ორ წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმის უფლებით, სამაზბიუროები გზავნიან თითო წარმომადგენელს სათათბირო ხმის უფლებით.

### კონფერენციის დღის წესრიგი.

1) საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა საქართველო.
2) ს. პ. კ. ს. მოხსენება (ანგარიში).
3) მოხსენება ადგილებიდან.
4) კავშირთა საორგანიზაციო მიზნები.
5) მოხსენება სატარიფო პოლიტიკის შესახებ.
6) სმერსას (სახ. მეურნ. საბჭო) შესახებ.
7) პროფკავშირების როლი და მონაწილეობა წარმოებაში.
8) სასურსათო კომისარიატის მოხსენება.
9) შრომის საკომისარიატოს.
10) მოხსენება კავშირთა კულტგანყოფილების მუშაობის შესახებ.
11) პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების შესახებ.

ყველა დელეგატებს უნდა ქონდეთ ოქმი მათი არჩევის შესახებ. შემოწმებული სარპროფ საბჭოს სამაზბიუროს მიერ.

ეძლევა წინადადება სარპროფ საბჭოს, სამაზბიუროს და სეკრეტარიატებს წარმოადგინონ წერილობითი ანგარიში თავის მუშაობის შესახებ.

საქ. პროფკავ. კონფერ. მომწვევი ბიურო: ოდილავაძე, ყურულიშვილი, ვაშაკიძე.

---

## ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები

აცნობებენ ამხანაგებს, რომ 6 ივნისს, დაიწყება ავადმყოფთა შემოწმება, რომელნიც საჭიროებენ საავგარაკო მკურნალობას ჩრდილოეთ კავკასიის და ყირიმის მინერალურ წყლებზე და სანატორიუმებში. ავადმყოფთ გაშინჯვა სწარმოებს ყოველ დღე დილის 10—12 საათ. № 4, საევაკუაციო ჰოსპიტლის შენობაში (პასკევიჩის ქუჩა).

---

## ქალაქის რევკომის იუსტიციის განყოფილებისაგან

ვისაც სურს მიიღოს ქ. თფილისში სახალხო მოსამართლის, გამომძიებლის, ან სასამართლოს განაჩენის აღმასრულებელის თანამდებობა და ამასთან აკმაყოფილებს ამ თანამდებობის მისაღებათ კანონიერ მოთხოვნილებას, მას შეუძლიან შეიტანოს განცხადება ა. წ. 10 ივნისამდე ქალაქის რევკომის იუსტიციის განყოფილებაში, რომელიც მოთავსებულია სამოსამართლო დაწესებულებათა შენობაში (სასამართლოს ქუჩა № 32) 1ჯ—2 საათამდე

**განყოფილების გამგე მარ. ჩხეიძე.**